

ელენ უაითი

ქრისტესკენ
მიმავალი
გზა

შინაარსი

შინაარსი	2
თავი1 ღმერთს უყვარს ადამიანი	2
თავი 2 ცოდვილს ესაჭიროება მხსნელი.....	21
თავი 3 მონანიება.....	35
თავი 4 აღსარება.....	71
თავი 5 მიძღვნა.....	82
თავი 6 რწმენა და მიღება.....	94
თავი 7 ვართ თუ არა ჭეშმარიტი ქრისტიანები?	110
თავი 8 სულიერი ზრდა ქრისტეში	133
თავი 9 ჩვენი ცხოვრება და საქმეები.....	155
თავი 10 ღმერთის შეცნობა	173
თავი 11 ლოცვის უპირატესობა.....	192
თავი 12 როგორ გავთავისუფლდეთ ეჭვებისაგან?	224
თავი 13 სიხარული უფალში	245

თავი1 ღმერთს უყვარს ადამიანი

ბუნება და გამოცხადება ერთნაირად მოწმობენ ღვთის სიყვარულზე. ჩვენი ზეციერი მამა სათავეა სიცოცხლისა, სიბრძნისა და სიხარულისა. შეხედეთ საოცრად მშვენიერ ბუნებას. ჩაუფიქრდით, რა საოცრად არის ყველაფერი განსაზღვრული ადამიანის სასარგებლოდ, მისი ბედნიერებისათვის და არა მხოლოდ ადამიანისათვის, არამედ ყოველი ცოცხალი არსებისათვის. წვიმა და მზე, რომელიც ახარებს და ახალისებს მიწას, მთები, ზღვები და თვალუწვდენელი მდელოები — ყველაფერი ეს შემოქმედის ადამიანისადმი სიყვარულზე მეტყველებს. დიახ, სწორედ ის ზრუნავს თავისშექმნილთათვის და აკმაყოფილებს ყოველდღიურ მათსაჭიროებას. შესანიშნავად ამბობს ამის შესახებ მეფსალმუნე:

„ყველას თვალები შენ შემოგცქერიან
და შენ აძლევ საზრდოს თავის
დროზე.

აღაპყრობ შენს ხელს და
დააკმაყოფილებ
ყოველ სულდგმულს“ (ფს. 144:15–16)

უფლის მიერ შექმნილი ადამიანი
სავსებით წმიდა და ბედნიერი იყო და
შემოქმედის ხელით შექმნილი დედამიწაც
მშვენიერი იყო. დედამიწაზე არ იყო
ხრწნადობა, არც ჩრდილი წყევლისა.
მხოლოდ უფლის კანონის დარღვევამ —
სიყვარულის კანონისა — მოუტანა ქვეყანას
მწუხარება და სიკვდილი. მაგრამ ამ
მწუხარებაშიც კი, რომელიც ცოდვის
შედეგია, უფლის სიყვარული გვეცხადება.
დაწერილია, რომ ღმერთმა დასწყევლა

დედამიწა და ადამიანი ცოდვის ჩადენის გამო (დაბ. 3:17). ძეგვი და ეკალი — სიძნელეები და გამოცდა — რომელიც ადამიანს უქმნის შრომით და ზრუნვით აღსავსე ცხოვრებას, უფალმა მისივე კეთილდღეობისათვის მისცა მას, როგორც უფლის გეგმით გათვალისწინებული აღმზრდელობითი პროცესის ნაწილი, რომელიც ისახავს ადამიანთა ხსნას ცოდვის შედეგებისაგან — გადაგვარებისა და დაღუპვისაგან. მაგრამ ამ ცოდვილ და დაცემულ დედამიწაზე არა მხოლოდ მწუხარება და ტანჯვა-წამებაა. თვით ღვთით შექმნილ ბუნებაში ჩაქსოვილია იმედისა და მშვიდობის სხივი. ეკლებში ყვავილი ხარობს და ეკლიან ღეროზე ვარდი იშლება.

ყოველ ბალახზე, რომელიც თავს
ამოყოფს მიწიდან, ყოველ კვირტზე
დაწერილია: „ღმერთი სიყვარულია“.
მშვენიერი ფრინველები, რომელნიც
სამყაროს ჭიკჭიკითა და სიხარულის
მომგვრელი ხმებით ავსებენ, ყვავილები,
რომელნიც გამოკვეთილი და
დასრულებული ფერებით გამოირჩევიან და
ავსებენ გარემოს სურნელებით;
დიდებული, მწვანე ფოთლებით აქოჩრილი
ხეები — ყველაფერი ეს მოწმობს იმაზე, თუ
როგორ ნაზად, მამაშვილურად ზრუნავს
უფალი ჩვენთვის, თავისი შვილების
ბედნიერებისათვის.

ღვთის სიტყვაში უფალი გვიჩვენებს
თავის ხასიათს. მის უსაზღვრო
სიყვარულზე და თანაგრძნობაზე
მეტყველებს უფლის პასუხი მოსეს

ლოცვაზე: „მიჩვენე დიდება შენი“ (გამოს. 33:18). „ჩამოვატარებ მთელს ჩემს სიდიადეს შენს წინ“ (გამოს. 33:19). სწორედ ეს არის მისი დიდება.

„ჩაიარა უფალმა მოსეს წინ და შეჰლაღადა მოსემ: „უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო! შემნახავო სიყვარულისა ათასთა მიმართ. დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო!“ (გამოს. 34:6,7). უფალი „სულგრძელი“ და „დიდმადლიანი“, „წყალობის მოყვარულია“ (იოან. 4:2, მიქ. 7:18).

უფალმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება მრავალი ნიშნით ცაზე და დედამიწაზე. იგი ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ხასიათი

ბუნების გამოვლინებებში და ამავე დროს, ადამიანთა მჭიდრო და თბილ, ლამაზ ურთიერთობებში. მაგრამ არც ეს გვაძლევს სრულ წარმოდგენას მის სიყვარულზე. მიუხედავად ამდენი მოწმობისა, „ყოველი მართლის მტერმა“ იმდენად დააბრმავა ადამიანის გონება, რომ მან შიში იგრძნო ღვთის წინაშე. ის თვლის, რომ უფალი მკაცრი და სასტიკია. სატანამ შთაუნერგა ხალხს, რომ უფლის მთავარი თვისება — ადამიანთა მკაცრი დასჯაა. და ამგვარად ღმერთი მათთვის გახდა მრისხანე მოსამართლე. სატანამ ისე წარმოგვიდგინა შემოქმედი, თითქოს მას მეტი საქმე არა აქვს, გარდა იმისა, რომ ყოველ წუთს უთვალთვალოს ადამიანს, აღნიშნოს მისი ყოველი ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილი შეცდომა და შემდგომ დასაჯოს. და მოვიდა ამქვეყნად იესო და ცხოვრობდა ადამიანთა

შორის, რათა გაეფანტა ბნელი და
გაეცხადებინა ქვეყნისათვის ღმერთის
უსაზღვრო სიყვარული.

უფლის ძე მოვიდა დედამიწაზე
ზეციდან, რათა გაეხსნა ჩვენთვის მამის
ხასიათი. „ღმერთი არასდროს არავის
უნახავს. მხოლოდშობილმა ძემ, მამის
წიაღში მყოფმა, მან გააცხადა“ (იოან. 1:18).
„არც მამას იცნობს ვინმე, გარდა ძისა და
იმისა, ვისაც ძეს სურს, რომ განუცხადოს“
(მათ. 11:27). როდესაც ერთ-ერთმა მოწაფემ
იესოს სთხოვა: „გვაჩვენე მამა“, იესომ
უპასუხა: „რა ხანია თქვენთან ვარ და ვერ
მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა
იხილა. როგორღა ამბობ, გვაჩვენეო მამა?“
(იოან. 14:8,9).

დედამიწაზე თავისი მისიის შესახებ
იესომ თქვა: „უფლის სულია ჩემზე,
ვინაიდან მცხო გლახაკთა სახარებლად,
მომავლინა გულშემუსვრილთა
განსაკურნავად, ტყვეთათვის
თავისუფლების და ბრმათათვის თვალის
ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა
გასათავისუფლებლად“ (ლუკ. 4:18). ეს იყო
მისი მსახურება. ის დადიოდა ყველგან,
თესავდა სიკეთეს და კურნავდა
ყველა ეშმაკეულს.

იყო სოფლები, სადაც ავადმყოფთა კვნესა
სრულიად აღარ ისმოდა, რადგან
ის დადიოდა ამ სოფლებში და კურნავდა
ყველას. მისი საქმენი კი დასტურია
იმისა, რომ ის ღვთისგან იყო. მთელი მისი
საქმეები მისი სიყვარულის,
გულმოწყალებისა და თანაგრძნობის

გამოვლინება იყო, რადგან ის მთელი გულით თანაუგრძნობდაადამიანთა შვილებს. ის მოგვევლინა ადამიანური ბუნებით, რათა ყოფილიყო გაჭირვებულ ადამიანთა გვერდით. ყველაზე ღარიბნი და უბრალონი უშიშრად მიდიოდნენ მასთან. პატარა ბავშვები სულმის გვერდით იყვნენ: უყვარდათ მისმუხლებზე ჯდომა და მის ფიქრიან თვალებში ჩახედვა, რომლებშიც სიყვარულისნათელი ჩასდგომოდა.

იესოს არ დაუმაღლავს არცერთი ჭეშმარიტი სიტყვა. მის ყოველ ნათქვამში სიყვარული იგძნობოდა. ადამიანებთან ურთიერთობაში იგი ტაქტიანი დაყურადღებიანი იყო. მას არასოდეს გამოუჩენია საჭიროების გარეშე უხეშობა და სიმკაცრე, არასოდეს მიაყენებდა ადამიანს ტკივილს და არ

გაკიცხავდა ადამიანური სისუსტისათვის.
იგი ქემმარიტებას ყოველთვის
სიყვარულით წარმოსთქვამდა. იესო
კიცხავდა ურწმუნოებას, პირფერობას და
ურჯულოებას. იგი ცრემლმორეული ხმით
წარმოსთქვამდა საყვედურის მწარე
სიტყვებს. იესო ტიროდა იერუსალიმზე,
რომელმაც არ მიიღო იგი —
„გზა, ქემმარიტება და სიცოცხლე“. მათ
უარჰყვეს ის, მათი მხსნელი, მაგრამ იესო
მაინც თბილად და თანაგრძნობით
ეპყრობოდა. მისი სიცოცხლის აზრი იყო
სხვებისათვის თავდადება და მათზე
ზრუნვა. მისთვის ყოველი ადამიანი
ძვირფასი იყო. მასში იყო ღვთიური დიდება,
იგი უდიდეს ზრუნვას იჩენდა უფლის
ოჯახის ყველა წევრზე. თითოეულ
ადამიანში უფალი ხედავდა დაცემულ

სულს, რომლისგადასარჩენადაც მოევლინა იგი ამ ქვეყანას.

ასეთია ქრისტეს ხასიათი, რომელიც მის მიწიერ ცხოვრებაში გამოიხატა. ეს ღმერთის ხასიათია. ღვთიური თანაგრძნობა, გამჟღავნებული ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაში, ადამის შვილებთან მამის გულიდან მოდის! იესო, ადამიანთა თანამგრძნობი და მხსნელი, იყო თვით ღმერთი, რომელიც „გამოჩნდა ხორცში“ (1 ტიმ. 3:16).

იესო ცხოვრობდა, ეწამა და მოკვდა ჩვენი გადარჩენისათვის. იგი გახდა „ტანჯული“ იმისათვის, რომ ჩვენთვის სიხარული მოეცა. უფალმა დაუშვა, რომ მისჭემმარიტებით და მადლით სავსე ერთადერთ ძეს დაეტოვებინა

ენითაუწერელიდების სავანე და
მოსულიყო გარყვნილებით და
ცოდვებითმოწამლულ, დაწყევლილდა
სიკვდილის ჩრდილით მოფენილ
დედამიწაზე.უფალმა ნება დართო მას,
ვისაცმამის სიყვარულის წიაღში ედო სავანე
და ვისაცთაყვანს სცემდა
ანგელოზთამხედრობა, მიეღო სირცხვილი,
ლანძღვა, შეურაცხყოფა, დამცირება,
სიძულვილი დასიკვდილი. „მასზე იყო
სასჯელი ჩვენისიმრთელისათვის და მისი
წყლულებით ჩვენგანვიკურნეთ (ეს. 53:5).

შეხედეთ მის ტანჯვას გეთსიძმანის
ბაღში, უდაბნოში, ჯვარზე! ღვთის
ძემ,უბიწომ და წმიდამ, იტვირთა ყველას
ცოდვა. მან, ვინც მამაში იყო და მამა
მასში,მთელი სიმძიმით იგრძნო ცოდვათა
საშინელება, რომელიც აშორებს

ღმერთსადამიანისაგან. სწორედ ამიტომ აღმოხდა მას ტანჯვის ძახილი: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ (მათ. 27:46). ცოდვის ტვირთი და მისი საშინელება, რაც ადამიანს ღმერთისაგან აშორებს, — აი, რა სტანჯავდა იესოსგულს.

მაგრამ ეს უდიდესი მსხვერპლი გაღებულ იქნა არა იმიტომ, რომ იესოს მამისგულში სიყვარული ან ადამიანთა გადარჩენის სურვილი გაელვიდებინა. არამც დაარამც! „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან. 3:16). მამას ჩვენ იმიტომ კი არ ვუყვარვართ, რომ გაღებულ იქნა უდიდესი მსხვერპლი გამოსყიდვისა. პირიქით! მან გაიღო

მსხვერპლი ჩვენდამი სიყვარულის გამო!
ქრისტე იყო შუამდგომელი, რომლის
მეშვეობითაც მამამ მოაფრქვია თავისი
უსაზღვრო სიყვარული
დაცემულ ქვეყნიერებას. „ღმერთმა ქრისტეში
შეირიგა წუთისოფელი“ (2 კორ. 5:19).
უფალი იტანჯებოდა ძესთან
ერთად. ბრძოლა საკუთარ თავთან
გეთსიძინიის ბაღში, გოლგოთას ჯვარზე
სიკვდილი — აისაზღაური, რომელიც
უფალმა უსაზღვრო სიყვარულით გაიღო
ჩვენს გამოსასყიდად.

იესომ სთქვა: „იმიტომ ვუყვარვარ მამას,
რომ მე ჩემს სულს ვწირავ,
რათაკვლავდავიბრუნო იგი“ (იოან. 10:17).
სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „მამას ჩემსას
ისე უყვარხართ თქვენ, რომ თქვენს
გამოსასყიდად მოგცათ ჩემი სიცოცხლე.

ამით მეთქვენი ნაცვალი და თავდები
გავხდი, რადგან მოგეცით ჩემი სიცოცხლე
და ამითჩემს თავზე ავიღე თქვენი ვალი,
თქვენი დანაშაული და უფრო ძვირფასი
გავხდიმამისათვის: რადგან მხოლოდ ჩემი
მსხვერპლით შეუძლია ღმერთს იყოს
მართალიდა გაამართლოს ქრისტეში
მორწმუნენი.“

არავის შეეძლო ჩვენი გამოსყიდვა,
უფლის ძის გარდა. მხოლოდ მას,
ვინციცოდა უფლის სიყვარულის სიმაღლე
და სიღრმე, შეეძლო გამოეცხადებინა
იგიქვეყნიერებისათვის. მხოლოდ ქრისტეს
უდიდეს მსხვერპლს,
ცოდვილთათვისგაღებულს, შეეძლო
გამოეხატა მამის სიყვარული გზააბნეული
შვილების მიმართ... „ვინაიდანისე შეიყვარა
ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა

თავისი მხოლოდ შობილი ძე“. მამამ მისცა ძე
არა მხოლოდ იმისათვის, რომ
მასამქვეყნიური ცხოვრებით ეცხოვრა. ის,
რომელიც ღმერთში იყო და თვითონ
იყო ღმერთი, შეუსისხლხორცდა
ადამიანებს. იესოს „არ რცხვენია, რომ მათ
ძმები უწოდოს“ (ებრ. 2:11). იესო ჩვენთვის
გაღებულ იმსხვერპლია, ჩვენი
დამცველი, ჩვენი ძმა, რომელიც წარსდგა
მამის ტახტის წინაშემის მიერ
საუკუნო გამოსყიდულებთან ერთად. და ეს
ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ
ადამიანი დამლუპველ ცოდვათა
უფსკრულიდან წამოაყენოს, რათა
შესძლოს ადამის შვილმა უპასუხოს უფლის
დიდ სიყვარულს და გაიზიაროს
წმიდანთა ცხოვრების სიხარული.

ჩვენი გამოსყიდვის ფასი უზომოდ დიდი მსხვერპლია ჩვენი ზეციერი მამისა, რომელმაც გასწირა თავისი ძე ჩვენთვის. როდესაც სულიწმიდით აღვსებულნი იოანეს წავადა მამა ღმერთის სიყვარულის მთელ სიღრმეს და სიღიადესდასაღუპავად განწირული კაცობრიობისადმი, აღტაცებამ და მოწიწებამ მოიცვა.

ამსიყვარულის სიღიადის და სიღრმის გამოსახატავად სიტყვები რომ ვერ მოძებნა, ქვეყნიერებას შეჰლაღადა: „ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი“ (1 იოან. 3:1). რა ძვირად შეფასდა ადამიანი! ცოდვის ჩადენის შემდეგ ადამის შვილები სატანის ქვეშევრდომნი გახდნენ. ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის რწმენით ადამის შვილებს

მიეცათსაშუალება კვლავ ღვთის შვილები
გამხდარიყვნენ. მიიღო რა ქრისტემ
ადამიანისბუნება, აამაღლა კაცობრიობა.
ახლა ეს დაცემულიკაცობრიობა
ქრისტესმეშვეობით კვლავ შეიძლება
გახდეს ღირსი, ეწოდოს „ღვთისშვილები“.

რა შეედრება ამ სიყვარულს! ციური
მეფის შვილები! რა ძვირფასი აღთქმაა! განა
არ არის ეს ღრმა მსჯელობის საგანი? რა
შეუდარებელი სიყვარულია უფლისაიმ
ქვეყნიერებისადმი, რომელმაც ზურგი აქცია
მას! ამაზე ფიქრს შეუძლიადაიმორჩილოს
სული და „დაატყვევოს გონება
მორჩილებაში“! ღვთის
წინაშემორჩილებაში. რაც უფრო ღრმად
შევსწავლით უფლის ხასიათს ჯვრის
ნათელში, მით უფრო უკეთესად გავიგებთ,
თუ როგორ არის შერწყმული უფლის

წყალობა,სიყვარული და მიტევება მის
სამართლიანობასა და
მართლმსაჯულებასთან... დამით უფრო
ნათელი გახდება უფლის უსაზღვრო
სიყვარული, მისი
დიდითანაგრძნობაადამიანისადმი. და ეს
გრძნობა აღემატება დედის სიყვარულს
დაგზააბნეულიშვილის შეცოდების
გრძნობას.

თავი 2 ცოდვილს ესაჭიროება მხსნელი

ღმერთმაადამიანი შექმნა
კეთილშობილური თვისებებით და
ზომიერი გონებითაღსავსე. ის
სრულქმნილი არსება იყოდა ღმერთთან
თანხმობით ცხოვრობდა. მასშიწმიდა აზრი
და სუფთა გულისთქმა იყო.
მაგრამდაუმორჩილებლობის

გამომისისული გაუწმიდურდა. საკუთარი თავის განდიდების სურვილმა კი მისიგულიდანსიყვარული გამოაძევა. ცოდვამ იმდენად დააუძლურა ადამიანი, რომ იგი ველარაღუდგა წინ ბოროტებას. ადამიანი სატანის ტყვე გახდა და ასეთად დარჩებოდაბოლომდე, თუ არა ღმერთის განსაკუთრებული ჩარევა. მაცდურის მიზანი იყოუფლის გეგმის ჩაშლა, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანის შექმნისას არსებობდა დაწუთისოფლის მწუხარებითა და ტანჯვით ავსება, რაც ეშმაკს გაუხსნიდა გზას დაშესაძლებლობას მისცემდა ყველა ამ ბოროტებაში დაედანაშაულებინა ღმერთი — უზენაესი, რომელმაც შექმნა ადამიანი!

ადამიანის დაცემამდე ღმერთსა და მას შორის სიხარულით და ბედნიერებითსავსე ურთიერთობა არსებობდა. ადამს უყვარდა

უფალი, „რომელშიც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა საუნჯე“ (კოლ. 2:3). მაგრამ დაცემის შემდეგ ადამიველარ გრძნობდა სიწმიდის სიხარულს და ცდილობდა დამალვოდა ღმერთს. დღემდე ასეთ მდგომარეობაში არიან ის ადამიანები, რომელთაც სულის განახლება არ განუცდიათ. მათ უთანხმოება აქვთ ღმერთთან და მასთან ურთიერთობაში ვერ ავიტარებ სიხარულს ვერ პოულობენ. ღმერთთან სიახლოვე ცოდვილს ბედნიერებას ვერ მოუტანს. იგი ვერც შეეგუებოდა ზეცაში ყოფნას, თუნდაც დაშვებული ყოფილიყო, სადაც მეფობს უანგარო სიყვარული, სადაც ყოველი გული პასუხობს შემოქმედის სიყვარულს; ცოდვილის სულში ვერ აღიძვრებოდა საპასუხო გრძნობა. ზეციურ მცხოვრებთა ინტერესები, მათი უცოდველი ზრახვები და

მისწრაფებანი სრულიადუცხო და
მიუღებელი იქნებოდა მისთვის. ის
დისონანსს შეიტანდა ზეციურ
მელოდიაში. მისთვის ტანჯვა იქნებოდა
ზეცაში ცხოვრება. მისიერთადერთი
სურვილი იქნებოდა დამალვა იმისაგან,
ვინც არის სასუფევლის ნათელი და
სიხარული. არ დაუშვებს ღმერთი
ცოდვილთა ზეცაში ცხოვრებას არა იმიტომ,
რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ
ცოდვილთა იქ ცხოვრება ტანჯვა და წამება
იქნებოდა მხოლოდ. ცოდვილნი თვითონ
ვერ შესძლებდნენ ზეცაში ცხოვრებას,
რადგან უფლის დიდებამათთვის იქნებოდა
„მჭამელი ცეცხლი“. ისინი უმაღლეს სიკვდილს
აირჩევენ, რათა დაემალონ მის სახეს, ვინც
მათივეგადარჩენისათვის მოკვდა.

ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ძალებით
ამოვიდეთ ცოდვის უფსკრულიდან,
რომელშიც აღმოვჩნდით. ჩვენში ბოროტება
ცოცხლობს და მისი აღმოფხვრა ჩვენ
თვითონ არ შეგვიძლია. ჩვენი ხასიათის
შეცვლა უფლის გარეშე შეუძლებელია. „ვინ
შექმნის წმიდას უწმიდურისაგან?“ არავინ.
„ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა,
ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს
და არც შეუძლია“ (იოზ. 14:4; რომ. 8:7).
კულტურა, განათლება, ნებისყოფის
წრთვნა, ადამიანური მცდელობა; კარგია
თავის სფეროში, მაგრამ აქ მეტად
უსუსურია. ადამიანური მცდელობის
შედეგად შეიძლება მივაღწიოთ კარგი ქცევის
ნორმებს, მაგრამ ის ვერ გარდაქმნის გულს
და ვერ განწმედს სიცოცხლის წყაროს.
ცოდვილი ადამიანი რომ წმიდა გახდეს,
საჭიროა შინაგანი ძალა, ახალი ცხოვრების

დაწყება. ეს ძალა — ქრისტეა. მხოლოდ მის ძალას შეუძლია ჩვენში ჩამკვდარი სულიერი ნიჭის გიმოღვიძება და მისიწარმართვა უფლისაკენ, სიწმიდისაკენ.

მაცხოვარმა სთქვა: „ვინც ხელახლა არ იშობა“, ე.ი. ვისაც არ მიეცემა ახალიგული, ახალი სურვილები, ახალი მიზნები და საერთოდ ახალი ცხოვრება, ის „ვერიხილავს ღვთის სასუფეველს“ (იოან. 3:3). ღრმად მცდარი აზრია ის, რომ საკმარისია ადამიანმა გააღვივოს ის სიკეთე, რომელიც მასში ბუნებრივად არის. „მშვინვიერი“ (უცხ. თარგ. „არასულიერი“) ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, რადგანაც უგუნურებად მიიჩნევს მას და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი“. „ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ

ხელახლაუნდაიშვათ-მეთქი“ (1 კორ. 2:14, იოან. 3:7). ქრისტეს შესახებ წერია: „მასში იყოს იცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“. „არც კაცთათვის მოცემულისხვა სახელი არის ცის ქვეშ, ვისმირაც ვიხსნიდით თავს“ (იოან 1:4, საქ. 4:12).

ძალიან კარგია, თუ ადამიანი ხვდება და გრძნობს უფლის წყალობას, მისმამაშვილურ სიყვარულს, ხედავს მის სიბრძნეს, მისი კანონის სამართლიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულის მუდმივ პრინციპებზე, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ყველაფერი ეს იცოდა პავლე მოციქულმა, როდესაც ამბობდა: „ვეთანხმები კანონს, რომ ის კეთილია“. „რჯულიც წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი დაკეთილი“. მაგრამ

ამასთან ერთად ის მწარედ, სულიერი
ტკივილით დასასოწარკვეთილებით
ამბობს: „მე კი ხორციელი ვარ, ცოდვისადმი
მიყიდული“ (რომ.7:16,12,14). მას სწყუროდა
სიწმიდე, სიმართლე, რომლის მიღწევა
თვითონ არ შეეძლოდა საცოდავად
აღმოხდა: „უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ
დამიხსნის ამ სიკვდილისსახეულისაგან!“
(რომ. 7:24). ყველა დროში და ყველგან
ისმოდა ცოდვითდამძიმებულიგულიდან
ამოძახილი ასეთი სიტყვები. მათზე პასუხი
მხოლოდერთია: „აჰა, ღვთისკრავი,
რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას“
(იოან. 1:29).

უფალი მრავალ მაგალითს და
ილუსტრაციას იყენებს იმისათვის,
რომადამიანებამდე მიიტანოს ჭეშმარიტება,
რათა გააგებინოს სიმართლე მათ,

რომელთაც დანაშაულის სიმძიმისაგან
თავის დაღწევა სურთ. როდესაც იაკობმა
მოატყუა ესავი, შესცოდა და გაიქცა
მამისეული სახლიდან, სული დაუმძიმდა
თავისი დანაშაულისგამო. მარტოხელას და
უსახლკაროს, მოწყვეტილს ყველაფრისაგან,
რაც მისთვის ძვირფასი იყო, მხოლოდ ერთი
ფიქრი სტანჯავდა: ჩადენილმა ცოდვამ იგი
უფალს დააშორა და ზეცისაგან მიტოვებული
აღმოჩნდა. ფიქრებით
დამძიმებული, დანალვლიანებული, იაკობი
მიწაზე წამოწვა. გარშემო უკაცრიელი
გორაკები იყო, ზემოდან კი კაშკაშა
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა
დაჰყურებდა. და აი, იაკობის იზმარში
ხედავს რაღაც უჩვეულო ნათელს და ფართო
კიბის ბუნდოვან მოხაზულობას, რომელიც
ადიოდადედამიწიდან ზეცის კარიბჭემდე.
კიბეზე ადიოდნენ და ჩამოდიდნენ

ღვთისანგელოზები და სულ მაღლა,
ნათელში, ისმოდა უფლის ხმა, რომელიც
იმედისმომცემ სიტყვებს წარმოსთქვამდა.
ასე იხილა იაკობმა ის, ვინცპასუხს გასცემდა
მისსაჭიროებას და მის მწყურვალე სულს
დააკმაყოფილებდა, — მაცხოვარი.

სიხარულითა დამადლიერებით აღივსო
იაკობის გული, როდესაც იხილა გზა,
რომელიც მას, ცოდვილს, აღუდგენდა
უფალთან ურთიერთობას. იდუმალიკიბე,
რომელიც სიზმარში ნახა იაკობმა,
სიმბოლოა იესო ქრისტესი,
რომელიც ერთადერთი შუამდგომელია
ღმერთსა და ადამიანს შორის.

სწორედ ამ სიმბოლოზე მიუთითა იესომ
ნათანაელს, როდესაც სთქვა:
„ამიერიდან იხილავთ გახსნილ ცას და
ღვთის ანგელოზებს, კაცის ძეზე აღმავალთა

დაჩამომავალთ“ (იოან. 1:51). შეცოდების
შემდეგ ადამიანი გაუუცხოვდა ღმერთს.
გაწყდაკავშირცასა და დედამიწას შორის.
წარმოქმნილმა უფსკრულმა
გამორიცხა ურთიერთობის შესაძლებლობა.
მაგრამ ქრისტეს მაღლით კვლავ აღდგა ეს
კავშირი. თავისი მსახურებით ქრისტემ
ხიდი გასდო ამ ცოდვის უფსკრულზე და
ამის შედეგად ახლანგელოზებს კვლავ
შეუძლიათ ადამიანებთან ურთიერთობა და
მათდამისამსახური. ქრისტე აკავშირებს
დაცემულ, სუსტსა და უსუსურ ადამიანს
უდიდესი ძალის წყაროსთან.

ყოველი მცდელობა კაცობრიობის
სულიერად ამაღლებისა, ყველა
ოცნება პროგრესზე ამაოა, თუ ადამიანები
გვერდს აუვლიან ცოდვილთა მთელი
თაობების იმედის ერთადერთ წყაროს:

„ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილინიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება დაარცხრდილი ცვალებადობისა“ (იაკ. 1:17). მის გარეშეადამიანის ხასიათის ჭეშმარიტისრულყოფილება შეუძლებელია. ღმერთთან მისვლა კი მხოლოდ ქრისტესმეშვეობითააშესაძლებელი. იგი ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.მამასთანვერაგინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოან. 14:6).

ღმერთს უყვარს თავისი მიწიერი შვილები და ეს სიყვარული სიკვდილზე ძლიერია.მან მოგვცა თავისი ძე და ამით მთელი ზეცის საუნჯე მოგვიძღვნა. მაცხოვრისსიკვდილი, სიცოცხლე და შუამდგომლობა, ანგელოზთა მსახურება,

სულისმოწოდება, ზეციერი მამის
მზრუნველობა ყოველი ადამიანის მიმართ
— ყველაფერიც მხოლოდადამიანის
გადარჩენისთვისაა.

უფრო ხშირად ვიფიქროთ იმ საოცარ
მსხვერპლზე, რომელიც გაიღო
ზეცამჩვენიგულისათვის. შევეცადოთ
შევაფასოთ ის დაუზოგავი შრომა,
რომლითაც გვემსახურება იგი
გზააბნეულთა გადასარჩენად და მათ
მშობლიურ სახლში დასაბრუნებლად.
მოქმედებაში მოყვანილია ყველაზე ძლიერი
საშუალებანი: უდიდესი ჯილდო მართალ
საქმეთათვის, ზეცის სიხარული,
ანგელოზებთან ურთიერთობა, კავშირი
მოსიყვარულე მამასთან და მის ძესთან,
ჩვენი ნიჭის აღორძინება და განვითარება
საუკუნო, მარადიულ სასუფეველში. განა

ყველაფერი ეს არ კმარა, რომ მთელი
გულითა და სიყვარულით ვემსახუროთ
ჩვენს შემოქმედს დამაცხოვარს?

უფლის სამსჯავრო, უსათუო შურისგება,
ზნედაცემულობა და საბოლოოდ
სიკვდილი — ყველაფერი ეს აღწერილია
ღვთის სიტყვაში იმისათვის, რომ
ფრთხილად ვიყოთ და არ ვემსახუროთ
სატანას.

ნუთუ გულგრილნი დავრჩებით უფლის
წყალობისა და მისი მოწოდების
მიმართ? რისი გაკეთება შეეძლო კიდევ მას
ჩვენთვის?! დავამყაროთ ჭეშმარიტი
ურთიერთობამასთან, ვისაც ასეთი საოცარი
სიყვარულით ვუყვარვართ! გამოვიყენოთ
უფლისმიერ მოცემული საშუალებები
იმისათვის, რომ ვემსგავსოთ მას, თანხმობა

გვქონდესმასთან — მამასთან და ძესთან და
წმიდა ანგელოზებთან, რომელნიც
გამოგზავნილნიარიათ ჩვენი
სამსახურისათვის.

თავი 3 მონანიება

როგორ შეუძლია ადამიანს ღმერთთან
სწორი ურთიერთობის დამყარება?
როგორ შეუძლია ცოდვილს გახდეს
მართალი? მხოლოდ ქრისტეს მეშვეობით!
მხოლოდმისით შეგვიძლია თანხმობა
გვქონდეს უფალთან, მის სიწმიდესთან.
მაგრამ რა გზით შეგვიძლია მივიღეთ
ქრისტესთან? კვლავ მრავალჯერ იმეორებენ
იმ კითხვას, რომელიც უფლის აღდგომის

ორმოცდამეათე დღეს აწუხებდა
ადამიანებს, როდესაცნათლად დაინახეს
თავიანთი ცოდვები: „როგორმოვიქცეთ?“
მოციქული პეტრესპასუხი ასეთი იყო:
„მოინანიეთ“ (საქ. 2:37). „მოინანიეთ და
მოიქეცით, რომ აღიხოცოსთქვენი ცოდვები“
(საქ. 3:19).

მონანიება არის გულისტკივილი, წყენა,
ნაღველი და სინანული
ჩადენილიდანაშაულისგამო და ცოდვათა
მიტოვების სურვილი. ჩვენ ვერასოდეს
შევძლებთცოდვის მიტოვებას, თუ ვერ
შევიცნობთ მის დამლუპველობას. ჩვენს
ცხოვრებაშიარ მოხდება
ქეშმარიტიგარდაქმნები მანამ, სანამ ზურგს
არ შევაქცევთ ცოდვას.

ბევრს არ ესმის, თუ რას ნიშნავს
ჭეშმარიტი მონანიება. ზოგჯერ ადამიანები
ნანობენჩადენილ ცოდვას და უკეთესადაც
კი იქცევიან, რადგანეშინიათ, რომ
არასწორი ნაბიჯებისათვის ისინი
დაიტანჯებიან. მაგრამ ეს არ
არისბიბლიური მონანიება. ისინი
დასტირიან ცოდვების შედეგს და არა თვით
ცოდვებს.ასე ნაღვლობდა ესავი, როდესაც
სამუდამოდ დაკარგა პირმშოება. ბალაამს
შეეშინდაანგელოზისა, რომელიც წინ
გადაუდგა შიშველი მახვილით და
სიკვდილის შიშითაღიარა თავისი
დანაშაული. მაგრამ ეს არ იყო ჭეშმარიტი
მონანიება, არც სიძულვილისგამოხატვა
ცოდვისადმი. მას არ შეუცვლია თავისი
მიზანდასახულება. იუდაისკარიოტელმა,
რომელმაც გასცა უფალი, წამოიძახა:
„შევცოდე, მართალი სისხლირომ გავეცი“

(მათ. 27:4). დალუპვის
საშინელიწინათგრძნობა, მომავალი
სამსჯავროს შიში დაეუფლა იუდას და
სწორედეს იყო მისი მონანიების მიზეზი.
მასშეეშინდა ჩადენილი დანაშაულის
შედეგისა, გულის სიღრმეში კი არ
ნანობდაჩადენილ ცოდვას, რომ გაყიდა
ღვთის უბიწო შვილი.

ეგვიპტის ფარაონი მხოლოდ მაშინ
შეიცნობდა თავის ჩადენილ ცოდვებს
დასამსჯავროსთავიდან აცილებას
ცდილობდა, როდესაც ღვთის რისხვა
დაატყდებოდათავს. მაგრამროგორც კი
უფალი სასჯელს შეუწყვეტდა, კვლავ
ურჩობას განაგრძობდა.ყველა ზემოთ
ჩამოთვლილი ადამიანი ნანობდა ცოდვის
შედეგს და არა ცოდვას.

როდესაც ადამიანის გული ღვთის
სულის მორჩილია, მაშინ ცოდვილის
სინდისიილვიძებს და იგი გრძნობს უფლის
კანონის სიწმიდეს და სიღრმეს,
რომელიც ღმერთის მმართველობის
საფუძველია ზეცაშიც და დედამიწაზეც.
ნათელი, „რომელიც გაუნათებს
წუთისოფლად მომსვლელ ყველა
ადამიანს,“ აშუქებს ყოველ
კუნჭულს ადამიანის სულისას და აცხადებს
დაფარულს (იოან. 1:9). ცოდვილი გულით
დაგონებით ხვდება თავის დანაშაულს. ის
აღიარებს ღვთის სამართალს, მის
სიწმიდეს და თავისი უწმიდურებისა
დამანკიერების გამო შიში იპყრობს იმის
წინაშე, ვინც ადამიანის სულის ყველა
საიდუმლო იცის. იგი ხედავს ღმერთის
სიყვარულს, მისი სიწმიდის სილამაზეს,

სწყურია განწმედა და გარდაქმნა, რათა
ჰქონდეს ურთიერთობა ზეცასთან.

ჰქეშმარიტი მონანიების მაგალითს
წარმოადგენს დავითის ლოცვა მისი
დაცემის შემდეგ. მისი მონანიება
გულწრფელი და ღრმა იყო. ის არ
ცდილობდა შეერბილებინათავისი
დანაშაული და იმიტომ კი არ აღავლენდა
ლოცვას, რომ აეცილებინა მისთავს
მომდგარისასჯელი. დავითი მიხვდა
თავისი დანაშაულის საშინელებას და
სულის დაკნინებას, მას ეზიზღებოდა
თავისი ცოდვა. ის ლოცვით სთხოვდა
უფალს არა მარტო პატიებას, არამედ მისი
გულის განწმედასაც. მას სურდა შეეცნო
წმიდაცხოვრების სიხარული და აღედგინა
ღმერთთან ურთიერთობა. ნახეთ,
როგორიგულის სიღრმიდან ამოხეთქილი

სიტყვებით გამოხატავს იგი განცდილს:
„ნეტარია, ვისაც ეპატია დანაშაული, ვისი
ცოდვებიც დაიფარა. ნეტარია კაცი, ვისაც
უფალი ცოდვას არ ჩაუთვლის და ვის
სულშიც არ არის სიყალბე“ (ფს. 31:1,2).

„შემიწყალე, ღმერთო, შენი
წყალობისამებრ. წაშალე ჩემი დანაშაული.
რადგან ვიცი ჩემი დანაშაული და ჩემი
ცოდვა მუდამ თვალწინ მიდგას. მასხურე
უსუპი დაგანვიწმიდები, განმბანე და
თოვლზე მეტად გავსპეტაკდები. სუფთა
გული შეჰქმენი ჩემში, ღმერთო და წრფელი
სული განაახლე ჩემს სხეულში. ნუ
უკუმაგდებ შენგან და ნუ წამართმევ შენი
სიწმიდის სულს. დამიბრუნე სიხარული
შენი ხსნით და დიდებული სულით
გამამაგრე. მიხსენ სისხლთაგან, ღმერთო,

ღმერთო ჩემი ხსნისადა ჩემი ენა ხოტბას
შეასხამს შენს სიმართლეს!“ (ფს. 50:3-16).

ასეთი მონანიება საკუთარი ძალით
შეუძლებელია. ეს მხოლოდ ქრისტეს
ძალითხდება, რომელიც „ამაღლდა და
მისცა ნიჭი ადამიანებს“.

სწორედ ამ საკითხში სცდებიან
მრავალნი, ამიტომ ვერ ღებულობენ
ქრისტესდახმარებას. ბევრს ჰგონია, რომ
მონანიების გარეშე იესოსთან მისვლა
შეუძლებელია დარომ მონანიება არის გზა
ცოდვათა მიტევებისა. მონანიება, მართლაც,
წინუძღვის ცოდვათა მიტევებას. მაგრამ,
განა ცოდვილი არ უნდა მივიდეს
ქრისტესთან, სანამ არმოინანიებს? განა
მონანიება უნდა იყოს ბარიერი, რომელიც

აშორებს ცოდვილსა დამხსნელს
ერთმანეთისაგან?

ბიბლია არ გვასწავლის, რომ ცოდვილმა
ჯერ უნდა მოინანიოს და შემდეგ მიიღოს
ქრისტეს მიწვევა: „მოდით ჩემთან,
ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და
მე მოგასვენებთ თქვენ“ (მათ. 11:28).

ადამიანი ჭეშმარიტ

მონანიებამდე მიჰყავს ძალას, რომელიც
ქრისტესგან მოდის. პეტრე მოციქულმა ასე
ახსნა ეს თავისეპისტოლეში ებრაელთა
მიმართ: „იგიწინამძღვრად და მაცხოვრად
აღამაღლაღმერთმა თავისი მარჯვენით, რომ
მიეცეს ისრაელს მონანიება და
ცოდვების მიტევა“ (საქ. 5:31). ჩვენ არ
შეგვიძლია მონანიება ქრისტეს ძალის
გარეშე, რომელიც აღვიძებს ადამიანის

სინდისს. ასევეარ შეგვიძლია მივიღოთ
მიტევებაქრისტეს გარეშე.

ქრისტე წყაროა ყოველი კეთილისა.
მხოლოდ მას შეუძლია
ჩაგვინერგოს ცოდვისადმი სიძულვილი და
ყოველგვარისწრაფვა ჭეშმარიტებისა და
სიწმიდისაკენ. ცოდვის აღიარება მოწმობს
იმაზე, რომ ქრისტეს სულის ძალა გავლენას
ახდენს ჩვენს გულებზე.

ქრისტემ სთქვა: „როდესაც ავმაღლდები
დედამიწიდან, ყველას
ჩემთან მივიზიდავ“ (იოან. 12:32). ყოველმა
ცოდვილმა უნდა იცოდეს, რომ
ქრისტემოევიღა მას, როგორც მხსნელი,
რომელიც მოკვდა ქვეყნის
ცოდვებისათვის. როდესაც ვუცქერთ ღვთის
კრავს, გოლგოთას ჯვარზე გაკრულს,

უკეთესად გვესმის გამოსყიდვისსაიდუმლო
და ღვთის მადლს მივყავართ მონანიებამდე.
ცოდვილთა გადარჩენისათვისთავისი
სიკვდილით ქრისტემ ადამიანებს დაანახა
თავისი მათდამი უსაზღვროსიყვარული. ეს
სიყვარული აღძრავს ადამიანის გულს,
ატყვევებს გონებას დააღვიძებს სულს
მონანიებისათვის.

მართალია, ადამიანებს ზოგჯერ
რცხვენიათ თავიანთი ცოდვილი
ცხოვრებისადა ზოგიერთ ცუდ თვისებას
ქრისტესკენ მოქცევამდე ანებებენ თავს.
მაგრამყოველი მათი მცდელობა — გახდნენ
უკეთესნი, ყოველი მათი გულწრფელი
სურვილი — იცხოვრონ პატიოსნად, არის
ქრისტეს ძალის გამოვლინება, რომელიც
ასეიზიდავს თავისკენ ცოდვილს. ქრისტეს
გავლენა ადამიანის სულზე ისე

ქვეშეცნეულადხდება, რომ ადამიანს
სინდისი აწუხებს და ამგვარად მის
ცხოვრებაში შესამჩნევიაგამოსწორება ხდება.
ქრისტე აღძრავს მათ სულს და მიუთითებს
ჯვრისაკენ, რომელზედაც იგი
მათი ცოდვებისათვის ავიდა. და როდესაც
მათთვის გასაგებიხდება უფლის მცნება,
თვალი ეხილებათ თავის არასწორ
ცხოვრებაზე. ისინიხედავენ, თუ რა ღრმად
აქვს გადგმული ფესვები მათ გულებში
ცოდვას, ნაწილობრივუკვე ესმით ქრისტეს
სიმართლე და ამბობენ: „რა არის ასეთი ეს
ცოდვა, რომ ასეთიდიდი ფასი დასჭირდა
მისი ტყვეობიდან ადამიანთაგამოხსნას? რა
დიდი სიყვარული, ტანჯვა და მსხვერპლი
იქნა გაღებული იმისათვის, რომ არ
დავლუპულიყავით დაგვქონოდა
მარადიული სიცოცხლე! ნუთუ ასე
ვუყვარვართ უფალს?“

ცოდვილმა შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს ამ სიყვარულს და ქრისტესმიმზიდველ ძალას. მაგრამ თუკი არშეეწინაღმდეგება, ის აუცილებლად მოიქცევა უფლისაკენ. როდესაც ადამიანისათვის გასაგები გახდება მისი გადარჩენის გეგმა, ის აუცილებლად მივაჯვართან თავის ცოდვათა მოსანანიებლად, იმ ცოდვებისა, რომელმაც ასეთი დიდი ტანჯვამიაყენა უფლის საყვარელ ძეს.

ღვთიური ძალა, რომელმაც ასე ბრძნულად მოაწყო ყველაფერი ბუნებაში, მიმართავს ადამიანებს და წყურვილს აღუძრავს მათ გულებს. ამ წუთისოფელშისხვა ვერაფერი მოუკლავთ მათ წყურვილს; ღვთის სული მოუწოდებს მათ ეძებონ მშვიდობისა და სიმშვიდის

წყარო — ქრისტეს მადლი. ხილული თუ უხილავიგავლენით მაცხოვარი მუდამ ცდილობს გამოაშოროს ადამიანი სულისათვის მავნეცოდვათა სიტკბოებას და მიუთითოს უამრავი ღირსებისაკენ, რომელთა მოპოვებაც მხოლოდ ქრისტეში შეუძლიათ. უფლის სიტყვები მიმართულია ადამიანებისადმი, რომელნიც ცდილობენ წყურვილის მოკვლას ამქვეყნიურ გუბეებში: „მწყურვალნი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი“ (გამოცხ. 22:17).

თუკი თქვენი გული ისწრაფვის იმისკენ, რისი მოცემაც წუთისოფელს არ შეუძლია, იცოდეთ, რომ ეს არის უფლის ხმა, რომელიც თქვენ გიხმობთ. სთხოვეთ მასმონანიების ნებართვა და ქრისტეს უსაზღვრო სიყვარული, მისი

სრულისიწმინდე.ღვთისადმი და
ადამიანისადმი სიყვარული — ესაა
ღმერთის კანონის პრინციპები,რომელნიც
სრულად აირეკლა მაცხოვრის ცხოვრებაში.
უანგარო სიყვარულითა დაკეთილი
საქმეებით იყო სავსე მისი ცხოვრება.
როდესაცმისგან გამოსულ ნათელსვხედავთ,
მხოლოდ მაშინლა ვხვდებით, თუ რაოდენ
ცოდვილია და უღირსი ჩვენიცხოვრება.

შეიძლება ჩვენც, ნიკოდიმეს მსგავსად,
თავს იმით ვინუგეშებთ, რომ
პატიოსნადვცხოვრობთ, არ ჩავდივართ
უმსგავსოსაქციელს და სხვა
ცოდვილებივით თავისდამდაბლება არ
გვჭირდება. მხოლოდ ქრისტესგან
გამომავალი ნათელი სხივითშევძლებთ
დავინახოთ ჩვენი გულების უწმიდურობა
და მივხვდეთ, რომ ყოველიჩვენი ნაბიჯი

ანგარებითა დაღვთისადმი მტრული
განწყობით არის გაჟღენთილი. ჩვენი გონება
იწყებს იმის შემეცნებას, რომ ჩვენი
საკუთარისი მართლე ჰგავს დასვრილ
სამოსელს და რომ მხოლოდ ქრისტეს
სისხლს შეუძლია ჩვენი
ცოდვებისაგან განწმედა და ჩვენი გულების
განახლება.

და, თურმე, საკმარისია უფლის დიდების
მხოლოდ ერთი სხივი, ქრისტეს
სიწმიდის ერთი გამონათება მისწვდეს
სულს, რომ შეამჩნიო ყოველი ლაქა და
ნაკლი შენს ხასიათში. და ცოდვილი ხვდება
მისი სურვილების უღირსობას, გულის
უსამართლობას, ბაგეთა უწმიდურებას. იგი
ხედავს, რომ მისი არასწორი საქციელი
ღმერთის კანონის საწინააღმდეგოა. მისი
გული ტკივილისაგან იკუმშება, როდესაც

განიცდის სულიწმიდის ზემოქმედებას. იგი ხედავს ქრისტეს უნაკლო, წმიდა ხასიათს და სძულს საკუთარი ცოდვილი ცხოვრება.

როდესაც დანიელმა მასთან გამოგზავნილი ზეციური მაცნის დიდება დაინახა, მიხვდა, თუ რაოდენ სუსტი, არასრულქმნილი იყო თვითონ. უყურებდა იგი ამდიდებულ გამოცხადებას და გრძნობდა: „ღონე აღარ შემრჩა, სახეზემკვდრისფერი დამედო და ძალა ვეღარ მოვიკრიბე“ (დან. 10:8). ადამიანი, რომელმაც გამოსცადა ასეთი ზემოქმედება, შეიძლება თავის „მე“-ს, ეგოიზმს და ეცდებოდა ქრისტეს სიმართლის რწმენით მიაღწიოს შინაგან სიწმიდეს ღმერთის კანონისა და ქრისტეს ხასიათის თანახმად.

პავლე მოციქული თავისი თავის შესახებ ამბობს, რომ ის „უნაკლოა“ იმსიმართლეში, რომელსაც კანონი თხოულობს (ეს კი მხოლოდ გარეგნული მსახურებაიყო) (ფილ. 3:6); მაგრამ, როდესაც ის ჩასწვდა კანონის სულიერ მხარეს, მაშინ მიხვდა თავის ცოდვილ მდგომარეობას. რჯულის თანახმად, ჩვეულებისამებრ, სხვებისდასანახავად იგი ერიდებოდა ცოდვის ჩადენას, მაგრამ როდესაც ჩასწვდა უფლისმცნებების სიღრმეს და თავისი თავი ისე დაინახა, როგორც იყო უფლის თვალში, მან თავმდაბლობით აღიარა: „ხოლო მე როდესაც ვცხოვრობდი რჯულის გარეშედა როდესაც მოიწიამცნება, ცოდვა გაცოცხლდა“ (რომ. 7:10). როდესაც პავლე მოციქული ჩასწვდა უფლის რჯულის სულიერ ბუნებას, ცოდვა გაშიშვლდა მისწინაშე მთელი თავისი გაცხადებული

სისამაგლით და მისი
თვითგანდიდებისაგან აღარაფერი დარჩა.
„ხოლომე მოვკვდი და ამრიგად
სასიცოცხლოდ მოცემულიმცნება
სასიკვდილოდ მექცა“ (რომ. 7:9,10).

უფალი არ თვლის, რომ ყველა ცოდვა
ერთნაირად მძიმეა. ღმერთი ისევე, როგორც
ადამიანი, სხვადასხვანაირად აფასებს
დანაშაულის ხარისხს, მაგრამ არცერთი
ცოდვა არ არის მცირე უფლის თვალში.
ადამიანის მსჯელობა არასრულფასოვანია,
ღმერთი კი განსჯის თავისი სიმართლის
მიხედვით. ლოთისძულთ და მას
ეუბნებიან, რომ ცოდვილია და მისთვის
სამოთხის კარი დახმულია. და ამავე დროს
სიამაყეს, თვითგანდიდებას და სიძუნწეს
ცოდვად არ თვლიან. მაგრამ ღმერთისათვის
ეს უკანასკნელი უფრო შეურაცხმყოფელია,

რადგან სწორედისინი ეწინააღმდეგებიან უფლის სიკეთეს და იმუანგაროსიყვარულს, რომელიც გამეფებულია სამყაროს სხვა, უცოდველ გარემოში.

ადამიანი, რომელიც მძიმე ცოდვას ჩაიდენს, მიხვდება თავის არარაობას, იგრძნობს სირცხვილს და ქრისტეს მადლის საჭიროებას. მაგრამ ამაც არაფერი არ სჭირდება, ამიტომ მისი გული დახურულია ქრისტესათვის და მისი უთვალავიკურთხევისათვის.

უბედური მეზაჟე, რომელიც ღმერთს ევედრებოდა: „ღმერთო, მილხინე მე, ცოდვილს“ (ლუკ. 18:13) თავს მეტად უწმიდურ ადამიანად თვლიდა. ასეთად თვლიდნენმას გარშემომყოფნიც. მაგრამ მან კარგად იცოდა, თუ

რაესაჭიროებოდა მის სულს. დანაშაულის
სიმძიმით და სირცხვილით დამძიმებული
წარსდგა იგი უფლის წინაშედა სთხოვდა
მას წყალობას, გულიგაუხსნა უფალს და
მისცა ნება თავისი ღვთიურიძალით
ემოქმედა მასზე დაცოდვისაგან
გაეთავისუფლებინა. ფარისევლის
ტრაბახითადა თავის მართლებისლოცვით
წარდგომა უფლის წინაშე კი იმას ნიშნავდა,
რომმისი გულიდახურული იყო
სულიწმიდის ზემოქმედებისათვის. ის
შორს იყოღმერთისაგან და ამიტომ ვერ
ხვდებოდა, რომ არაფერი ჰქონდა საერთო
ღვთიურსიწმინდესთან.

თუკი თქვენ მიხვდით იმას, რომ
ცოდვილი ხართ, ნუ დაელოდებით,
სანამუკეთესი გახდებოდეთ. ბევრი თვლის,
რომ არ არის ქრისტესთან მისვლის

ღირსი.მაგრამ ნუთუთქვენიმედიგაქვთ,რომ
თვითონ შეგიძლიათ თქვენი
თავისგამოსწორება? „თუ შეიცვლის ზანგი
თავის კანს და ვეფხვი თავის
აჭრელეზულბეწვს? თქვენც,
სიბოროტესდაჩვეულნი, თუ შეძლებდით
სიკეთის ქმნას?“ (იერ. 13:23). ჩვენი
დახმარება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. არ
უნდა ველოდოთ, რომმოვადრო და
გავხდებით უფროღირსეულნი და რომ
უფალთან მისვლისუკეთესი ჟამიდადგება.
ჩვენ თვითონ არაფრის გაკეთება არ
შეგვიძლია.ქრისტესთანუნდამივიდეთ
ისეთები, როგორებიცვართ.

მაგრამ ნურავინ იცდუნებს თავს იმით,
რომ ღმერთი, თავისი სიყვარულისა
დაწყალობის მიუხედავად, გადაარჩენს მისი
მადლის

უარყოფელს. ცოდვის სიბილწე გოლოგოთას
ჯვრის ნათელში გამოიცინობა. თუკი ვინმე
ამტკიცებს, რომ უფალი იმდენად კეთილია,
რომ ხელს არ ჰკრავს ცოდვილს, შეხედოს
გოლოგოთას. ქრისტემ თავის თავზე აიღო
ცოდვილ ადამიანთა დანაშაული და ეწამა
მათთვის, ვინაიდან გადარჩენისათვის სხვა
გზა არ იყო. ამ მსხვერპლის გარეშე
კაცობრიობა ვერგათავისუფლდებოდა
ცოდვის უწმიდური ძალისაგან და ვერ
აღადგენდა წმინდანებთან ურთიერთობას.
ქრისტემ თავის თავზე აიღო დანაშაული
მათი შეუსმენლობისათვის, ეწამა მათი
ცოდვებისათვის, რათა
ადამიანებს მისცემოდათ შესაძლებლობა
სულიერი ცხოვრების თავიდან დაწყებისა.
უფლისძის სიყვარული, ტანჯვა და
სიკვდილი მოწმობს იმას, თუ რა
საშინელებაა ცოდვა და მისი ბრწყყალებიდან

თავის დაღწევად სულიერად ამაღლებული ცხოვრებითსიცოცხლე შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი მიენდობით ქრისტეს.

ზოგჯერ ადამიანები, რომელთაც არ სურთ მონანიება, მიგვითითებენ მათზე, ვინც თავს ქრისტიანებს უწოდებენ და გვეუბნებიან: „ისინი არაფრით არ არიან ჩემზე უკეთესნი. მათ არა აქვთ ჩემზე მეტი თავდადება, მსჯელობა და კეთილშობილება. მათ ისევე უყვართ ამქვეყნიური სიამოვნება და საკუთარ თავზე ზრუნვა, როგორც მე“. ამით ისინი მიუთითებენ სხვების უარყოფით მხარეებზე, რათა თავისი გაამართლონ. მაგრამ სხვისი ნაკლი და ცოდვა ჩვენი გამართლება არ არის, რადგან თვით უფალმა მოგვცა მისაბამი მაგალითი არა ცოდვილი, მოკვდავი ადამიანის სახით,

არამედ უნაკლო, წმიდა უფლის ძის სახით.
მათ, ვინც ქრისტიანთა უღირს საქციელზე
მიუთითებს, თვითონ უნდა გვიჩვენონ
უკეთესი მაგალითი თავისი ცხოვრებით.
თუკი მათ ასე კარგად ესმით, როგორი უნდა
იყოს ქრისტიანი, იქნებ ეს უფრო ზრდის
მათ პასუხისმგებლობას ღმერთის წინაშე?
მათ იციან ქრისტიანის ქცევის წესები,
მაგრამ თვითონ უარს ამბობენ მათ
შესრულებაზე.

ლოდინი სახიფათოა. ნუ გადადებთ
თქვენი ცოდვების აღიარებას!
ათასობითადამიანი უშვებს ასეთ
საბედისწერო შეცდომას მისდა
საუბედუროდ. ეძებეთ გულისსიწმინდე
ქრისტეს დახმარებით! არ არის საჭირო
იმაზე ლაპარაკი, თუ რა ხანმოკლედა
გაურკვეველია ეს ცხოვრება! მაგრამ არ

შეიძლება დუმილი — დუმილი
საფრთხისშესახებ, რომელიც ბევრს არ
ესმის. საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ
ადამიანებს არ სურთ დაემორჩილონ წმიდა
სულის მოწოდებას — მიატოვონ ცოდვა. რა
მცირეც არ უნდა გვეჩვენებოდეს ჩვენი
დანაშაული, მისი მოუნანიებლობა
დალუპვის ტოლფასია. ადამი და ევა
არწმუნებდნენ თავის თავს, რომ
აკრძალული ხილის ჭამა მეტად
უმნიშვნელო დანაშაულია და მას არ
შეუძლია ისეთი საშინელი შედეგების
მოტანა, რის შესახებაც აფრთხილებდა
უფალი. მაგრამ ეს მცირე დანაშაული
უფლის კანონის დარღვევა იყო. მან
დააშორა ადამიანი ღმერთს და გზა გაუხსნა
სიკვდილს და უბედურებას ამქვეყნად.
საუკუნიდან საუკუნემდე ისმის
დედამიწაზე მოწამეთა კვნესა. წვალობს

ყოველი არსება და ეს ყველაფერი ადამიანის
მიერ უფლის კანონის დარღვევის შედეგია.
ამ კანონის დარღვევის კვალს თვით
ზეცამდე მივყავართ. გოლგოთას ჯვარი
არის სვეტი საოცარი მსხვერპლისა,
რომელიც საჭირო გახდა მათ
გამოსასყიდად, ვინც უფლის კანონი
დაარღვია. ნუ შევხედავთ
ცოდვასზედაპირულად!

უფლის კანონის დარღვევა და ქრისტეს
მადლის უარყოფა ასასტიკებს
გულს,ასუსტებს ნებისყოფას, ამცირებს
შემეცნების შესაძლებლობას. ჩვენ ვხდებით
ნაკლებადმორჩილნი და ვეღარ ვისმენთ
სულიწმიდის ხმას.

ზოგი თავს იმით იმშვიდებს, რომ
ყველაფერი მათ სურვილზეა

დამოკიდებული. როგორც კი მოინდომებენ, მაშინვე მიატოვებენ ბოროტების გზას. მათ ჰგონიათ, რომ ერთხელ და ორჯერ უარს იტყვიან უფლის მოწოდებაზე, მის მოწყალეებაზე დამაინც ყოველთვის ექნებათ უფლის წყალობა. ისინი ფიქრობენ, რომ წმიდა სულის განაწყენებით და მისი მადლის უარყოფით, რაც სატანის მხარეზე დაგომას ნიშნავს, უკიდურესი საშიშროების წუთებში შესძლებენ თავიანთი მცდარი გზის შეცვლას. მაგრამ ეს არ არის ადვილი. ცოდვილი ცხოვრება ადამიანს ისეთ დაღსამჩნევს, რომ შემდგომში ძალიან ცოტას გაუჩნდება სურვილი, მიბადოს ქრისტეს.

თუნდაც ხასიათის ერთი პატარა ნაკლი, გულში ჩადებული ერთი უწმინდურის სურვილიც კი საკმარისია,

რომ სახარების ძალამ უკვე აღარ
იმოქმედოს. რამდენადაც უფრო მეტ
ადგილს ვუთმობთ ჩვენში ცოდვას, მით
უფრო ვშორდებით ღმერთს. ურწმუნოების
ჯიუტად გამოხატვა და ღვთის
ქეშმარიტებისადმი
გულგრილობა, საბოლოო ჯამში,
გამოიწვევს იმას, რომ ადამიანი რასაც
დასთესს, იმას მოიმკის. არ არსებობს იმაზე
მეტი გაფრთხილება ცოდვისადმი
ზერელედ მიდგომაზე ბიბლიაში, ვიდრე
სოლომონ ბრძენის სიტყვები: „ცოდვილი
თავისი ცოდვის საკვრელებით შეიბოჭება“
(იგავ. 5:22).

ქრისტე მზადაა გაგვათავისუფლოს
ცოდვებისაგან, მაგრამ არ გვაიძულებს
ამნაბიჯის გადადგმას. თუკი ჩვენ, ცოდვაში
დამკვიდრებულნი, მთლიანად

გადავიხარეთ ბოროტისაკენ, არ გვსურს
მისგან გათავისუფლება და ღვთისაგან
გადარჩენის მაძლის მიღება, მაშინ რით
შეუძლია კიდევ ჩვენი დახმარება უფალს?
ჩვენჯი უტად უარყოფთ მის სიყვარულს
და ამით თავს ვილუპავთ. „ესაა
შეწყნარებისჟამი და აჰა, ესაა ხსნის დღე“
(2კორ. 6:2). „დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას,
ნუგაიკერპებთ თქვენს გულებს“ (ებრ.3:7,8).

„კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში
ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს“ (1
მეფ. 16:7) — ცვალებად, თავისებურ,
ადამიანურ გულს ყველა
თავისი ურთიერთსაწინააღმდეგო
გრძნობებით, სიხარულითა და ნალველით
სავსეს, რომელშიც მრავალი უწმინდურება
და სიცრუეა! უფალმა იცის, რას ვფიქრობთ,
რას ვაპირებთ და რა მიზანი გვამოძრავებს.

როგორი უღირსიც არ უნდა იყოს თქვენი
გული, მიდით უფალთან! მეფსალმუნეს
მსგავსად, გადავუშალოთ
ყოვლისმხილველის თვალსჩვენი სულის
ყოველი დაფარული კუნჭული და
ვთხოვოთ: „გამომცადე, უფალო დაშეიცან
ჩემი გული: შემამოწმე და შეიცან აზრები
ჩემი. ნახე, სახიფათო გზაზე ხომარ ვდგავარ
და წამიძეხი მარადიულ გზაზე“ (ფს.
138:23,24).

ბევრი კმაყოფილდება გონების
რელიგიით და
„გარეგნული ღვთისმოსაობით“, მათი
გულები კი კვლავ უწმინდური რჩება. ასე
ილოცეთ: „სუფთა გული შეჰქმენი ჩემში,
ღმერთო და წრფელი სული განაახლე ჩემს
სხეულში“ (ფს. 50:12). იყავით წესიერი
საკუთარი თავის წინაშე! იყავით

პირდაპირნი და მტკიცენი. მოიქეცით ისე, როგორც თქვენი სიცოცხლის საფრთხის მუქარის წინაშე მოიქცეოდით. ეს საკითხითქვენსა და ღმერთს შორის უნდა გადაწყდეს—მარადისობისათვის. ფუჭი იმედი, რომელსაც აქამდე ებლაუჭებოდით, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

შეისწავლეთ ღვთის სიტყვა ლოცვით! უფლის სიტყვა შეგასწავლით სიწმინდისუდიდეს პრინციპებს, რომელნიც ღმერთის კანონში და იესო ქრისტეს ცხოვრებაშია ჩასოვილი და რომელთა გარეშეც „ვერავინ იხილავს უფალს“ (ებრ. 12:14). ისნათლად დაგვანახებს ჩვენს ცოდვილ ცხოვრებას და გვიჩვენებს გადარჩენის გზას. წმიდა წერილის სიტყვა უნდა შევიმეცნოთ, როგორც ჩვენი სულელებისაკენ მომართული უფლის ხმა.

როდესაც დავინახავთ ცოდვის
საშინელებას და ჩვენი გულების
უწმინდურებას, ნუ ჩავვარდებით
სასოწარკვეთილებაში! ქრისტე ხომ
ცოდვილთა გადასარჩენად მოვიდა! ჩვენ არ
გვჭირდება ღმერთის ჩვენს მხარეზე
გადმობირება, რადგან, ო! სასწაულო
სიყვარულო! — „ღმერთმა ქრისტემი
შეირიგა წუთისოფელი“ (2 კორ.
5:19). თავისი ნაზი სიყვარულით
უფალი თავისკენ იზიდავს გზააბნეული
შვილების გულებს. არც ერთ მშობელს
დედამიწაზე არ შეუძლია ისეთი
მოთმინებით მოეპყროს მცდარგზაზე
მდგომ შვილს, როგორც უფალი ეპყრობა
წუთისოფლის შვილებს. მხოლოდმას
შეუძლია ადამიანთა მწუხარების გაზიარება
და თავისი დიდი სიყვარულითმათი სწორ

გზაზე დაყენება. უფლის ყოველი დაპირებადა გაფრთხილება მისიუსაზღვრო სიყვარულის გამოვლინებაა.

როდესაც სატანა ცდილობს დაგარწმუნოთ იმაში, რომ თქვენ უდიდესი ცოდვილიხართ, მიმართეთ თქვენს მხსნელს და აღიარეთ მისი დამსახურება. სწორედ მისგანგამოსულ ნათელს შეუძლია თქვენი დახმარება. აღიარეთ თქვენი ცოდვა დაგანუცხადეთ ეშმაკს, რომ „იესო ქრისტე მოვიდა წუთისოფელში ცოდვილთა სახსნელად“ (1 ტიმ. 1:15) და თქვენი გადარჩენა მხოლოდ მის უანგარო სიყვარულს შეუძლია. ერთხელ იესომ სიმონს მოუყვა ორი მევალის შესახებ. ერთ მათგანს თავისიბატონის მცირე თანხა ემართა, მეორეს კი — დიდი. ბატონმა ორივეს აპატია. ქრისტე ეკითხება სიმონს:

„ამ მევალეთაგანრომელს უფრო
შეუყვარდება იგი?“ სიმონმა უპასუხა:
„რომელსაც უფრო მეტი მიუტევა“ (ლუკ.
7:43). ჩვენ უდიდესი ცოდვილები ვიყავით,
მაგრამ ქრისტე მოკვდა, რათა ჩვენ მიგველო
მიტევა. მისი მსხვერპლი საკმაოდ დიდია
იმისათვის, რომ მამისაგან ითხოვოს ჩვენი
გადარჩენა. ვისაც ბევრი მიუტევა, ისინი
უფრო მეტად შეიყვარებენ მას. ყველაზე
ახლოს ისინი იდგებიან მის ტახტთან და
დიდებას მიაგებენ მას უდიდესი
სიყვარულისადა უსაზღვროდ დიდი
მსხვერპლისათვის.

რაც უფრო ღრმად გვესმის უფლის
სიყვარული, მით უფრო
უკეთესად შევიცნობთ ცოდვის
დამლუპველობას. როდესაც ვხედავთ, თუ რა
დიდია უფლისაგან ჩვენი ცოდვების

მიტევება, მით უფრო გვესმის იმ უდიდესი
მსხვერპლის ფასი, რომელიც ქრისტემ გაიღო
ჩვენთვის...და ამ დროს ჩვენს გულებში
რაღაც ხდება:ჩვენი გული სიხარულით
ივსება მოზღვავებულიგრძნობებისაგან,
სიყვარულისადამონანიებისაგან.

თავი 4 აღსარება

„ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მოემართება, ხოლო ვინც მათ აღიარებსდა მიატოვებს, შეწყალებული იქნება“ (იგავ. 28:13).

რა საოცარია ღვთის წყალობა! რა უბრალო, ბრძნული და სამართლიანი პირობებია მოცემული იმისათვის, რომ მივიღოთ ეს წყალობა! უფალი არ ითხოვს, რომ ვეწამოთ ცოდვების მიტევებისათვის. არ არის საჭირო შორეული და მომქანცველი მოგზაურობა წმიდა ადგილებში ან საკუთარი სხეულის გვემა იმისათვის, რომ დავიმსახუროთ ყოვლისმპყრობელის კეთილგანწყობა და გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაული.

ვინც აღიარებს თავის ცოდვებს და მიატოვებს მათ, შეწყალებული იქნება. მოციქული ამბობს: „აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისათვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლისძლიერ ლოცვას“ (იაკ. 5:16). აღიარეთ თქვენი ცოდვები უფლის წინაშე, რადგან მხოლოდ მას შეუძლია მათი მიტევება, ხოლო საქციელი კი — ერთმანეთის წინაშე. თუკი თქვენს მეგობარს ან მეზობელს აწყენინეთ, მის წინაშე უნდა აღიაროთ, რომარ იყავით მართალი. მან კიდის ულოვნად უნდა გაპატიოთ. შემდეგ პატიება უნდასთხოვოთ ღმერთს, რადგან თქვენზე განაწყენებული ადამიანი ცღმერთის შვილია ისევე, როგორც თქვენ. თუ თქვენ ტკივილი მიაყენეთ თქვენს ძმას, ამით შესცოდეთ თქვენი შემქმნელისა და მაცხოვრის წინაშე. მოუყევით ყველაფერი ჩვენს

ერთადერთშუამდგომელს, ჩვენს უდიდეს მღვდელთმთავარს, რომელსაც შეუძლია „თანაგვიგრძნოს ჩვენს უძლურებაში“ და განგვწმიდოს ყოველგვარი მანკიერებისაგან (ებრ. 4:15).

იმ ადამიანებმა, რომელთაც არ აღიარეს თავისი დანაშაული და არ გამოიჩინეს ღვთისადმი მორჩილება, არ შეასრულეს მთავარი პირობა, რომლის გარეშეც უფალივერ მიიღებს მათ. თუკი ჩვენ გულით ვერ ვიგრძნობთ მონანიების საჭიროებას, თუკი ჭეშმარიტად მორჩილნი არ ვიქნებით, თუკი მჭმუნვარე სულით არ ვაღიარებთ ცოდვები და არ შევიძულებთ თვით დანაშაული, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ მთელიარსებით არ ვესწრაფვით ცოდვების მიტევებას. და თუკი ჩვენ ამას ვერ მივაღწიებთ, ვერ შევალთ ღვთის სიმშვიდეში. ჩვენი ცოდვები მიუტევებელი რჩება მხოლოდერთი მიზეზით: არ გვსურს

გულით მორჩილება და იმ პირობების შესრულება, რომელნიც ღვთის სიტყვაშია მოცემული. ამის შესახებ უფალი გვაძლევს ნათელ დაგანსაზღვრულ სწავლებას. სადაც არ უნდა ხდებოდეს ცოდვების აღიარება, ხალხშითუ მხოლოდ ღვთის წინაშე — ეს უნდა გაკეთდეს გულწრფელად, მთელი გულით. იძულება აქ ისევე დაუშვებელია, როგორც ზერელე, სხვათაშორის ამოსროლილის იტყვებით დანაშაულის აღიარება. არ შეიძლება ძალდატანება ადამიანზე მონანიებისათვის, თუკი მას არ ესმის თავისი ცოდვის საშინელება. უფალი ღებულობს მხოლოდ იმ მონანიებას, რომელიც გულის სიღრმიდან ამოდის, რადგან ამ შემთხვევაში იგი თანამგრძნობი და მოწყალეა. მეფსალმუნე ამბობს: „ახლოა უფალი გულმოდრეკილებთან და სულით მორჩილებს იხსნის“ (ფს. 33:19).

დანაშაულის ჭეშმარიტი აღიარება უნდა გამოირჩეოდეს თავისი

კონკრეტულობით და განსაზღვრულობით. ზოგიერთი ცოდვამხოლოდ უფლის წინაშე უნდა იქნას აღიარებული; ზოგი კი — იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც დაზიანდნენ მის გამო. იმ დანაშაულის აღიარება კი, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ იყო მიმართული, საზოგადოების წინაშე უნდა მოხდეს. ყოველი აღიარება კონკრეტული და არსებითი უნდა იყოს. თქვენ უნდა აღიაროთ მხოლოდ თქვენს მიერ ჩადენილი ცოდვა.

სამუელის დღეებში ისრაელი განუდგა ღმერთს და ამის გამო დაისაჯა კიდევც. იუდეელებში უფლის მიმართ უნდობლობამ დაისადგურა. მათ კარგად ვერ შეიცნეს ის, რომ მათ ცხოვრებას უფლის სიბრძნე და ძალა ხელმძღვანელობდა. მათ აღარსჯეროდათ, რომ უზენაესს შეეძლო წარემართა და დაეცვა მათი საქმეები. ისინი განუდგნენ სამყაროს უზენაეს მმართველობას და მოინდომეს შეექმნათ ისეთი სახელმწიფო, როგორც მეზობელ

ხალხებს ჰქონდათ. შემდეგში მათ ნათლად დაგარკვევით აღიარეს თავიანთი დანაშაული: „მთელს ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაცდავუმატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ“ (1 მეფ. 12:19). მათაღიარეს სწორედ ის ცოდვა, რომელზედაც სინდისმა მიუთითა. თავისივე უმადურობა სტანჯავდა მათ სულელებსდა ღმერთს აშორებდა.

უფალი არ მიიღებს ცოდვების აღიარებას გულწრფელი მონანიებისა დაგამოსწორების გარეშე. ადამიანის ცხოვრებაში უნდა მოხდეს გადამწყვეტი გარდაქმნები; მან უნდა მოიშოროს ყოველი ის მანკიერება, რაც ღმერთს შეურაცხყოფს.

ასეთიაცოდვათა ჭეშმარიტი მონანიების ნაცოფი. უფალი პირდაპირ მიგვითითებს, თუ რაუნდა გავაკეთოთ: „განიბანეთ, განიწმიდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი,

შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთ“ (ეს. 1:16,17). „თუ გირაოს დააბრუნებს ბოროტეული, წართმეულს ზღავს, სიცოცხლის წესებით ივლის დაბოროტებასარ ჩაიდენს. ის ცოცხალი დარჩება, არ მოკვდება“ (ეზ. 33:15).

პავლე მოციქული ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს მონანიების შედეგს: „ვინაიდან იმან, ღვთის გულისათვის რომ დანაღვლიანდით, დახეთ, რამდენი რამ წარმოშვათ ქვენში: როგორი სიბეჯითე, როგორი მოშურნეობა, როგორი შურისგება! დაყველაფერში აჩვენეთ, რომ სუფთანი ხართ ამ საქმეში“ (2 კორ. 7:11).

ცოდვა ახშობს მორალურ შემეცნებას, ამიტომ ცოდვილი ვერავითარ ნაკლს ვერამჩნევს თავის ხასიათში, არ ესმის ჩადენილი ბოროტების საშინელება. მისი მონანიება არ იქნება გულწრფელი და

სერიოზული, თუკი იგი არ დაემორჩილება
სულიწმიდისდამარწმუნებელ ძალას და
ბოლომდე ვერ ჩასწვდება ჩადენილი
ცოდვის სიღრმეს. აღიარებს რა დანაშაულს
შენიშვნის შიშით, იგი ყოველთვის თავის
მართლებას ეცდება და ყველაფერს
გარემოებას გადააბრალებს.

როდესაც ადამმა და ევამ შეჭამეს
აკრძალული ხილი, შიშისა და
სირცხვილის გრძნობა დაეუფლათ.
თავდაპირველად ისინი მხოლოდ იმაზე
ფიქრობდნენ, თუ რითგაემართლებინათ
თავისი დანაშაული და თავიდან
აეცილებინათ სიკვდილი. როდესაც უფალმა
ჰკითხა მათ ჩადენილ დანაშაულზე, ადამმა
თავისპასუხში ნაწილობრივ დაადასაშაულა
ღმერთი და ნაწილობრივ ევა: „შენ რომ
დედაკაცი მომიყვანე, მანმომცა იმ ხის
ნაყოფი და მეც შევჭამე“ (დაბ. 3:12,13).
რატომ შეჭმენი გველი? რატომ შემოუშვი
სამოთხის ბაღში? სწორედ ამ კითხვებს

გულისხმობდა მისიპასუხი და თავისი
დაცემის პასუხისმგებლობას ღმერთს
აკისრებდა. თავის მართლებისსული
სიცრუის მამისაგან მოდის და თავს იჩენს
ადამის შვილებში: კაცში თუქალში. წმიდა
სული არიწონებს ასეთ აღსარებას და
უფალიც არ ღებულობს მას.ადამიანი,
რომელიც ჭეშმარიტ მონანიებას განიცდის,
სრულად იღებსთავის თავზეჩადენილი
ცოდვებისათვის პასუხისმგებლობას და
აღიარებს დანაშაულს
ყოველგვარი თვალთმაქცობისა
დაპირფერობის გარეშე. ის ლოცვას
აღავლენს იმ საწყალიმებაჟის მსგავსად,
რომელიც ზეცისკენ თავის აწევას ვერც კი
ბედავდა: „უფალო,შემიწყალე მე
ცოდვილი!“. ის, ვინც თავის დანაშაულს
აღიარებს, გამართლდება,რადგან იესოს
სისხლი და მისი შუამდგომლობა
შესაძლებელს ხდის ამას.

ღვთის სიტყვაში ჭეშმარიტიმონანიებისა და მორჩილების მრავალი მაგალითია აღწერილი. ბიბლია მოგვითხრობს ადამიანებზე, რომლებმაც აღიარეს თავიანთი ცოდვები და არ უცდიათ მათი გამართლება. პავლე მოციქული არ მალავს თავის ცოდვას. პირიქით: იგი თავის ცოდვებს მუქ ფერებში გვიხატავს და არ ცდილობს თავისი დანაშაულის შემსუბუქებას; იგი ამბობს: „მღვდელმთავართაგან უფლებამოსილ მამრავალი წმიდანი ჩავყარე საპყრობილეში და როცა მათ ხოცავდნენ, ვეთანხმებოდი ამას. ყველა სინაგოგაში მრავალჯერ ვაწამებდი მათ და ვაიძულებდი დაეგმოთ დამათზე მეტისმეტად გამძვინვარებული, სხვაქალაქებშიც კი ვდევნიდი“ (საქ. 26:10,11). მოციქული თამამად აცხადებს: „ქრისტე იესო მოვიდა წუთისოფელში ცოდვილთა სახსნელად, რომელთა შორის პირველი მე ვარ.“ (1 ტიმ. 1:15).

თავმდაბალ და გაუბედურებულ გულს,
რომელმაც ჭეშმარიტი მონანიების
გზააირჩია, ნაწილობრივ მაინც შეუძლია
ჩასწვდეს უფლის სიყვარულს და
გოლგოთაზეგადებულ მსხვერპლს. როგორც
შვილი აღიარებს თავის დანაშაულს
საყვარელიმამისწინაშე, ასევე ცოდვილი
ჭეშმარიტად ინანიებს ღმერთის წინაშე
თავის ყოველუკეთურებას. ბიბლია
გვასწავლის: „თუვადიარებთ ჩვენს
ცოდვებს, მაშინ ის,ერთგული და მართალი,
მოგვიტევებს ცოდვებს დაგაგვწმენდს
ყოველგვარიუკეთურებისაგან“ (1 იოან. 1:9).

თავი 5 მიძღვნა

უფალი გვპირდება: „დამიწყებთ ძებნას და მიპოვით, თუ მთელი გულით მეძებეთ“ (იერ. 29:13).

ჩვენის მხრივ საჭიროა მთელიგულითმივენდოთღმერთს, რათამანჩვენშიგარდაქმნა მოახდინოს და კვლავ დავემსგავსოთ მას. ჩვენი ბუნებით ჩვენ შორსავართ უფლისაგან. სულიწმიდა ასე აღწერს ჩვენს მდგომარეობას: „მკვდრებიდანაშაულით და ცოდვებით“; „მთელი თავი დასნეულებული გაქვთ“ „გულიშეღონებული“; „სადი

ადგილი აღარ შეგრჩათ“. ჩვენ მაგრად ვართ გაბმულნი სატანის მახეში, რომელშიც „მან მისი ნებისამებრ დაგვატყვევა“ (ეფ. 2:1; ეს. 1:5,6; 2 ტიმ. 2:26). უფალს ჩვენი განკურნება და გათავისუფლება სურს, მაგრამ ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი ბუნების ძირფესვიანად გარდაქმნა და განახლება. ამიტომ სრულად უნდა მივენდოთ ღმერთს.

ბრძოლა საკუთარ „მე“-სთან, — ეს არის უდიდესი ბრძოლა, რომელიც კი ოდესმე ჰქონია ადამიანს. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ვძლიოთ საკუთარ „მე“-ს და სრულად დავემორჩილოთ უფალს. ღვთისადმი სრული მორჩილების გარეშე შეუძლებელია ახალი, წმინდა ცხოვრების დაწყება.

ღვთიური მმართველობა არ არის დაფუძნებული ბრმა მორჩილებაზე და მისადმი უაზრო დაქვემდებარებაზე, როგორც სატანა ცდილობს დაგვანახოს.

უფალი ეყრდნობათავისი შემოქმედების
ნაყოფის გონებას და სინდისს: „მოდით და
განვსაჯოთ“ (ეს. 1:18). ის ძალას არ ატანს
ჩვენს ნებას. მას მხოლოდ ნებაყოფლობითი
დაგააზრებული თაყვანისცემა სურს
ჩვენგან. ძალდატანებითი მორჩილება
გამორიცხავსმორალური და გონებრივი
შესაძლებლობების განვითარებას.

წინააღმდეგ შემთხვევაშიადამიანი რობოტს
დაემსგავსებოდა. ეს კი ეწინააღმდეგება
შემოქმედის ნებას. მისისურვილია, რომ
ადამიანი, მისი შემოქმედების გვირგვინი —
უაღრესად განვითარდეს. უფალი
გვთავაზობს უდიდეს ნეტარებას და სურს
შეგვიყვანოს მასში თავისიძალით. ის
მოგვიწოდებს მორჩილებისაკენ, რათა
განახორციელოს ჩვენში თავისიჩანაფიქრი.
არჩევანი ჩვენზეა: გვსურს თუ არა ცოდვათა
მონობისაგან გათავისუფლებადა ღვთის
შვილთა თავისუფლების მოპოვება?

და თუკი უფალს მივუძღვნით ჩვენს თავს, აუცილებლად უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რასაც ჩვენი დაშორება შეუძლია.

ამიტომ ამბობს ჩვენი მხსნელი: „ყოველი თქვენგანი, ვინც უარს არ იტყვის ყველაფერზე, რაც გააჩნია, ვერ შეძლებს ჩემს მოწაფედ ყოფნას“ (ლუკ. 14:33). მრავალ ადამიანს იზიდავს სიმდიდრე, ფულის სიყვარული, გამდიდრების წყურვილი — სწორედ ეს არის ის ოქროს ჯაჭვი, რომლითაც ისინი მიბმულნი არიან სატანასთან. ზოგი სახელისა და დიდებისაკენ მიიღტვის, ზოგს უზრუნველი ცხოვრება და უპასუხისმგებლობა გაუხდია კერპად. მონობის ეს ბორკილი უნდა დაიმსხვრეს. არ შეიძლება ნახევრად ვეკუთვნოდეთ ღმერთს და ნახევრად — წუთისოფელს. ჩვენ არ დაგვერქმევა ღვთის შვილები, თუ სრულად არ ვეკუთვნით ღმერთს.

არიან ადამიანები, რომელნიც
ამტკიცებენ, რომ ემსახურებიან ღმერთს,
თუმცა მათ საკუთარი ძალის იმედი აქვთ,
როდესაც საქმე ეხება უფლის
მცნებებისშესრულებას, მართალი ხასიათის
ჩამოყალიბებას და გადარჩენას. ამ
ადამიანებს ჯერ კიდევ არა აქვთ გულში
ქრისტეს სიყვარული. ისინი ცდილობენ
გულმოდგინედ შეასრულონ თავიანთი
ქრისტიანული მოვალეობა, ღმერთის ნება,
რათა ამით მოიპოვონ საუკუნო
სასუფეველი. ასეთი რელიგია არაფრის
მომცემია. როდესაც ქრისტე ჩვენს გულებში
ცხოვრობს, ჩვენი სული იმდენად ივსება
სიყვარულით და მასთან
ურთიერთობისაგან გამოწვეული
სიხარულით, რომ მის გარეშე უკვე
სიცოცხლე აღარ შეგვიძლია. მასზე
საუბრისას გვავიწყდება საკუთარი მე,
ყოველი ჩვენი ნაბიჯი ქრისტეს
სიყვარულითაა გამოწვეული. ის, ვინც

გრძნობს ღმერთის სიყვარულის მიმზიდველ ძალას, არ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ დააკმაყოფილოს უფლის მოთხოვნები თავის მხრივ უმცირესი მსხვერპლისგალებით. ის ცდილობს იცხოვროს უფლის ნებასთან სრული თანხმობით, მზადაა სიხარულით მიატოვოს ყველაფერი და თავისი სიცოცხლე მიუძღვნას არჩეული მიზნის განხორციელებას. თუკი ქრისტიანის გულში არ არის ასეთი ღრმა სიყვარული, მისი რელიგია მხოლოდ ლიტონი სიტყვები, სიცრუე და მძიმე ტვირთია.

იქნებ თქვენ გგონიათ, რომ თუკი თავს სრულად მიუძღვნით ქრისტეს, ამით დიდ მსხვერპლს გაიღებთ? მაშინ შეეკითხეთ თქვენს თავს: „რა დათმო ქრისტემ ჩემი გულისთვის?“ ჩვენი გადარჩენისათვის უფლის ძემ ყველაფერი დათმო: — პირადი კეთილდღეობა, სიმშვიდე და სიცოცხლე. მან თავისი გული და საუკუნო სიყვარული

მოგვიძღვნა. ნუთუ ჩვენ, უღირსნი ასეთი სიყვარულისა, არ გავუხსნით მას გულს? ყოველ წამს ვსარგებლობთ მისი კურთხევით და ვერ შეგვიცნია თუ რა უმეცრებისა და ვაების უფსკრულიდან ამოგვიყვანა მან. შეგვიძლია თუ არა შევხედოთ მას, ჩვენი ცოდვებით განგმირულს და არ გავიზიაროთ მისი სიყვარული და მსხვერპლი? როდესაც ვიცით, თუ როგორ დაიმდაბლა თავი უფალმა, გვაქვს თუ არა ჩივილის უფლება იმაზე, რომ სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე დიდი ბრძოლა და დამცირება გველის?

ბევრი ამაყი იტყვის: „რად მჭირდება მონანიება და მორჩილება? ნუთუ ამის გარეშე უფალი არ მიმიღებს?“ კარგად შეხედეთ ქრისტეს! ის უცოდველი იყო; უფრო მეტიც, ის ციური მეუფე იყო, მაგრამ ადამიანის გადასარჩენად ცოდვათა მსხვერპლი გახდა. მან „სასიკვდილოდ

გასწირა თავი და ცოდვილთა შორის
შეირაცხა: მრავალთა ცოდვები ჰქონდა
ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა“
(ეს. 53:12).

რას ვეუბნებით უარს, როდესაც ქრისტეს
ვუძღვნით ყველაფერს? „დასვრილ
სამოსელს“, „ცოდვის ჭუჭყს“, რათა იესომ
განგვწმიდოს თავისი სისხლით და
საუკუნო სიყვარულით გადაგვარჩინოს. მათ
ჰგონიათ, რომ ამ საშინელებების მიტოვება
ძნელია. ასეთი აზრები და სიტყვები ჩვენში
სირცხვილს უნდა იწვევდეს!

უფალი არ მოითხოვს ჩვენგან უარი
ვთქვათ იმაზე, რაც კეთილდღეობას
გვანიჭებს. მას ყოველთვის სურს თავისი
შვილების ინტერესების დაცვა. მათ, ვისაც
ჯერ კიდევ არ ამოურჩევია ქრისტეს გზა,
უნდა გაიგონ, რომ ღმერთი გვთავაზობს
რადაცმეუდარებელს, საუკეთესოს
ამქვეყნიურისაგან განსხვავებით. ეს არ არის

ის, რასაცისინი წუთისოფელში ეძებენ. ადამიანი უდიდეს ზიანს აყენებს თავის თავს, როდესაცაზროვნებს და მოქმედებს ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ. არ შეიძლება ჭეშმარიტად ბედნიერი იყო, როდესაც უფლისაგან აკრძალული გზით დადიხარ. მხოლოდ მან იცის, რა არის ჩვენთვის უკეთესი და ყველაფერს აკეთებს ჩვენი კეთილდღეობისათვის.

ცოდვის გზა, — ეს არის გზა ტანჯვისა და დაღუპვისაკენ. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ღმერთს კმაყოფილებას ანიჭებს მისი შვილების ტანჯვა. მთელი ზეცა დაინტერესებულია ადამიანის ბედით. ჩვენი ზეციერი მამა არ ართმევს სიხარულს თავის შვილებს. უფალი გვთხოვს უარი ვთქვათ მხოლოდ იმაზე, რასაც მწუხარება და რწმენის დაკარგვა მოაქვს; რაც გზას გვიღობავს ბედნიერებისა დამარადიული ცხოვრებისაკენ. ქვეყნიერების მხსნელი ღებულობს ადამიანებს

ისეთებს, როგორებიც არიან: თავიანთი
ნაკლით, სუსტი მხარეებით და
არასრულქმნილებით. იგი არა მარტო
განწმედს მათ ცოდვებისაგან, არამედ
გამოისყიდის თავისი
სისხლით, აკმაყოფილებს მათ
გულისნადებს, ვინც თანახმაა ზიდოს მისი
„ტვირთი“. მას სურს მშვიდობა და სიმშვიდე
მისცეს ყველას, ვინც მიდის მასთან
„სიცოცხლის ჰურისათვის“. იესო გვთხოვს
მხოლოდ იმის შესრულებას, რაც უმაღლეს
ნატარებამდე მიგვიყვანს. ამ განცდას
ვერასოდეს იგემებს ის, ვინც უფლის ნების
წინააღმდეგია. ადამიანს, რომლის გულშიც
ბინადრობს ქრისტე, აქვს სრულყოფილი
სიხარული თავის ცხოვრებაში.

მრავალს ებადება კითხვა: „რა გავაკეთო,
რომ ჩემი ცხოვრების წინამძღოლი იყოს
ღმერთი?“. თქვენ გაქვთ ამის სურვილი,
მაგრამ სულიერად სუსტნი
ხართ. დამონებული ყავხართ ეჭვებს და

ცოდვა მძიმე ტვირთად გაწევთ. თქვენი დაპირებები და გადაწყვეტილებები ინგრევა, როგორც ქალაქის ხუხულა. თქვენ არ შეგიძლიათ აზრების მობილიზება, თქვენი სურვილების და გატაცებების მართვა. შეუსრულებელი დაპირებანი და ვალდებულებანი იძულებულს გხდით ეჭვი შეიტანოთ საკუთარ გულწრფელობაში. თქვენ გგონიათ, რომ ღმერთი არ მიგიღებთ.

მაგრამ სასოწარკვეთილებას ნუმეცემით. თქვენ უნდა შეიმეცნოთ, თურა არის ნამდვილი ნებისყოფა. იგია დამიანის ბუნებაში მართველი ძალაა, რომელიც თავს იჩენს გადაწყვეტილებების მიღებაში.

ყველაფერი დამოკიდებულია სწორ მოქმედებაზე. ღმერთმა ადამიანს მისცა არჩევანის შესაძლებლობა და ამით უნდა ვისარგებლოთ. თუ თქვენ მიანდობთ მას თქვენს ნებისყოფას, ის თქვენში

„აღძრავს სურვილს ადამოქმედებას თავისინე

ბისამებრ“.

დამაშინთქვენნიქნებითქრისტესსულისზემო
ქმედებისქვეშდათქვენიზრახვებიშერწყმულ
იიქნებამისნებასთან.

ძალიანკარგიასიწმინდისადასიკეთისაკენ
სწრაფვა,

მაგრამმხოლოდსურვილიარკმარადაარცრაი
მესარგებლობასმოგიტანთ.

ბევრიდაილუპება, მიუხედავადიმისა,
რომმათჰქონდათსურვილიყოფილიყვნენქრ
ისტეიანებიდათვლიდნენკიდევცთავსასეთად.
მათთავისინებაარდაუმორჩილესღმერთსდა
დღესაცვერგადაუწყვეტიათ,
გაკეთონარჩევანი.

თქვენიცხოვრებათლიანადშეიცვლება,თ
უკითქვენსნებისყოფასსწორმიმართულებას
მისცემთ. დათუკიმასქრისტესმიანდობთ,
იცოდეთ, რომმოპოვებული
გექნებათსამყაროსუზენაესისმხარდაჭერადა
დახმარება.

თავი 6 რწმენა და მიღება

როდესაც სულიწმიდა აღვიძებს სინდისს, მაშინ ნათლად ხედავთ, რომ ცოდვადამლუპველია და მისი ძალა — დამანგრეველი... და მაშინ გრძნობთ თქვენს დანაშაულს. როდესაც ხედავთ, თუ რა უბედურება მოაქვს ცოდვას, გიჩნდებათ მისდამი სიძულვილი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც შეიგრძნობთ, რომ მან დაგამონათ და ღმერთთან დაგაშორათ. რაც უფრო მეტსებრძვით მას, მით უფრო ხედავთ

თქვენს უძლურებას, შინაგან უწყმიდურებას და გახრწნილებას. ხვდებით, რომ ცოდვა ფესვგადგმულიათქვენში — ცოდვა და საკუთარი თავის სიყვარული. გწყურიათ სიწყმიდე, თავისუფლება და მიტევება. მაგრამ არ იცით, როგორ მიხვიდეთ ღმერთთან, როგორ დაემსგავსოთმას.

შინაგანი სიმშვიდე, სიყვარული და მიტევება უფლისაგან — აი, რა სჭირდებათქვენს გულს. ამ შინაგან სამყაროს ვერ მოგცემთ თქვენ ვერც ფული, ვერც ინტელექტი, ვერც სხვა რაიმე ადამიანური ცოდნა. საკუთარი ძალებით ამის შეძენის მცდელობა უაზრობაა. ღმერთი უანგაროდ გაძლევთ თქვენ მას, „უვერცხლოდ დაუსასყიდლოდ“ (ეს. 55:1); ის უკვე ნაჩუქარია, მხოლოდ ხელი გაიწოდეთ და აიღეთ. უფალი ამბობს:

„მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება. ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება“ (ეს. 1:18).

„მოგცემთახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ“ (ეზ. 36:26).

აღიარეთ თქვენი ცოდვები და მიატოვეთ ისინი. გადაწყვიტეთ და მიუძღვენითთავი ღმერთს. მიდით მასთან და სთხოვეთ, რომ გაგწმიდოთ ცოდვებისაგან დამოგცეთ ახალი გული. დარწმუნებული იყავით, რომ ეს მოხდება, რადგან მანაღვითქვა.

ამას ასწავლიდა ქრისტე, როდესაც ცხოვრობდა დედამიწაზე. ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ აღთქმულს მივიღებთ და ის ჩვენი იქნება. იესო კურნავდა ავადმყოფებს, რომელთაც ჰქონდათ ღრმა

რწმენა უფლის ძალისა. მაცხოვარი ცხადად
ეხმარებოდამათ, რათა ყველას ერწმუნა,
რომ ძალუძს უხილავიც — ცოდვათა
მიტევება. მანგასაგებად სთქვა ეს
დავრდომილის განკურნებისას: „რათა
იცოდეთ, რომ კაცის ძესდედამიწაზე აქვს
ცოდვების მიტევების ხელმწიფება...
ადექი, აილე შენი საწოლი დაწადი შენს
სახლში“ (მათ. 9:6). მოციქული იოანე
განამტკიცებს ამ აზრს,
როდესაცლაპარაკობს
ქრისტესსასწაულებზე: „ეს კი დაიწერა,
რათა თქვენ ირწმუნოთ, რომიესო არის
ქრისტე, ძე ღვთისა და რათამორწმუნეებს
გქონდეთ სიცოცხლე მისისახელით“ (იოან.
20:31). უბრალო ბიბლიური ამბებიდან
ვგებულობთ, თუ როგორკურნავდა იესო
ადამიანებს და როგორ შეგვიძლია მივიღოთ
ცოდვათა მიტევებაქრისტეს რწმენით.

დავუბრუნდეთ დავრდომილის
განკურნებას ბეთეზდაში: გატანჯული
ავადმყოფი სრულიად უსუსური იყო. ის
38წლის განმავლობაში კუტი იყო, მაგრამ
იესომ უბრძანა: „აიღე შენი საწოლი და
წადი“. დავრდომილს შეეძლო ასეეპასუხა:
„უფალო, თუ განმკურნავ, შევასრულებ შენს
ბრძანებას“. მაგრამ მან ირწმუნა ქრისტეს
სიტყვები, ირწმუნა, რომ უკვე
განკურნებულია და მაშინვე შეეცადა
წამოდგომას. მან გამოაჩინა მზადყოფნა
ნაბიჯის გადასადგმელად და გაიარა. იგი
ქრისტეს სიტყვას დაემორჩილა და უფალმაც
ძალა მისცა მას. ავადმყოფი განიკურნა.

თქვენმა ცოდვებმა თქვენც ამ
მდგომარეობამდე მიგიყვანათ. თქვენ არ
შეგიძლიათ გამოისყიდოთ თქვენი

ცოდვები, გარდაქმნათ თქვენი გული და
გახდეთ წმიდანი. მაგრამ ღმერთი
გვპირდება ყველაფერ ამის აღსრულებას
ქრისტესმეშვეობით. ერწმუნეთ მის აღთქმას.
უთხარით თქვენი ცოდვები მას და
მიენდეთ მთლიანად ღმერთს. მიიღეთ
გადაწყვეტილება და ემსახურეთ მას.
როგორც კი ამას
გააკეთებთ, ღმერთი აუცილებლად
შეასრულებს თავის დანაპირებს. თქვენ
ისევე განიკურნებით, როგორც
დავრდომილი, რომელსაც ქრისტემ
სიარულის უნარი მისცა მაშინ,
როდესაც ავადმყოფმა ირწმუნა, რომ
განიკურნებოდა. მორწმუნეს ყველაფერი
შეუძლია.

ნუ დაელოდებით იმის შეგრძნებას, რომ
თქვენ უკვე განიკურნეთ, არამედ თქვით: „მე

მჯერა ეს არა იმიტომ, რომ
გამოვჯანმრთელდი, არამედ იმიტომ, რომ
უფალმა აღმითქვა“.

იესო ამბობს: „ყველაფერს, რასაც
ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ
მიიღებთდა მოგეცემათ“ (მარკ. 11:24). ეს
აღთქმა ერთი პირობით არის დადებული:
ჩვენ უნდა ვითხოვოთ მისი ნებისამებრ.
ღმერთს თქვენი ცოდვებისაგან განწმედა
სურს. მას უნდა, რომ თქვენ მხოლოდ მისი
იყოთ და მოგცეთ ძალა, რათა წმიდა
ცხოვრებით იცხოვრო, ამიტომ ჩვენ
შეგვიძლია ვთხოვოთ კურთხევა და
ვირწმუნოთ, რომ მივიღებთ. შემდეგ კი
მადლობა ვუთხრათ იმისათვის, რაც უკვე
მივიღეთ. რაოდენ დიდ იუპირატესობაა: —
მიხვიდე იესოსთან, განიწმიდო
ცოდვებისაგან და დადგე უფლის კანონის

წინაშე სინდისის ქეჯნის გარეშე! „ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოშიცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად!“ (რომ. 8:1).

ამიტომ თქვენ თქვენ თავს აღარ ეკუთვნით, რადგან ძალზე დიდი ფასით ხართგამოსყიდულნი. „არა ხრწნადი ვერცხლით ან ოქროთი იქენით გამოსყიდულნი... ამოგზიდან, არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით, როგორც უბიწო და უმანკო ტარიგისა“ (1 პეტრ. 1:18,19). ჩვენ, უბრალოდ, უნდა დავუჯეროთუფალს და სულიწმიდა ახალცხოვრებას დაგვაწყებინებს. ახლა თქვენ უკვე მისი ოჯახის წევრი ხართ და უფალსისევე უყვარხათ, როგორც თავისი ძე. ახლა, როდესაც თავი უკვე

მიუძღვენითიესოს, უკან აღარ დაიხიოთ, არ მოშორდეთ მას, არამედ ყოველდღე გაიმეორეთ: „მე ქრისტეში ვარ. მე მივუძღვენი ჩემი თავი მას“. შეევედრეთ მას, აგავსოთსულიწმიდით, დაგიცვათ მისი მადლით. და როგორც მიენდეთ და ერწმუნეთ მას დაგახდით მისი შვილები, ასევე დარჩით მასში. პავლე მოციქული ამბობს: „ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე, იესო უფალი, ასევე იარეთ მასში!“ (კოლ. 2:6).

ზოგს ჰგონია, რომ ჯერ რაღაც განსაზღვრული გამოცდა უნდა გაიაროს დადაარწმუნოს უფალი თავისსიმართლეში, რის შემდეგაც გახდება უფლის კურთხევისღირსი. ადამიანს, რომელსაც არა აქვს ქრისტეს სული და მადლი, რომელიც ძალასმისცემს მას, ვერ აღუდგება

წინბოროტებას. იესოს სურვილია, რომ მასთანმივიდეთ ისეთები, როგორებიც ვართ: ჩვენი ცოდვებით და უძლურებებით. მასსურს, რომ იგი ჩვენი საყრდენი იყოს. ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ მას ჩვენისუსტი მხარეებით, ნაკლით, უგუნურებით და მონანიებით დავეცეთ მის ფერხთით. იგი სიყვარულით ჩაგვიკრავს გულში, გაიღებსდიდ წყალობას, უმკურნალებს ჩვენსჭრილობებს და გაგვწმენდს ყოველგვარიუწმიდურებისაგან.

ბევრს არ სჯერა, რომ მაცხოვარი პირადად მიუტევებს თითოეულ ადამიანსყველა ცოდვას და ეს დიდი შეცდომაა. ადამიანებს არ სჯერათ უფლის სიტყვისა დაეს ძალზე სამწუხაროა. ყველას, ვინც უფლის წამოყენებულ პირობებს ასრულებს, აქვს პირადი გამოცდილება

უფლისაგან მიტევებისა. იგი ყველა ცოდვას
პატიებს.ერიდეთ იმ აზრს, რომ უფლის
აღთქმა თქვენ არ გეხებათ. იგი ყოველ
ცოდვილსეხება, რომელიც აღიარებს თავის
დანაშაულს. ქრისტე გვიგზავნის
ანგელოზებს,მათ კი უფლის მადლი და
ძალა მოაქვთ ყოველი მორწმუნესათვის.
როგორცოდვილიც არ უნდა იყოს
ადამიანი, ქრისტე მისცემს მას ძალას,
სიწმიდეს დასიმართლეს. სწორედ ის
ქრისტე, რომელიც მოკვდა ჩვენი
ცოდვებისათვის. ქრისტემზადაა გახადოს
თითოეულ ადამიანს ცოდვით გასვრილი
და გაუწმიდურებულიტანსაცმელი და
ჩააცვას თავისი სიმართლის თეთრი სამოსი,
რადგან უფალიცოდვილს სიკვდილის
ნაცვლად სიცოცხლეს სთავაზობს.

უკვდავი ღმერთი ჩვენთან არ ამყარებს ისეთ ურთიერთობას, როგორც მოკვდავიადამიანები ერთმანეთს შორის. ის მოწყალეა ჩვენს მიმართ. იგი სიყვარულით დანაზი თანაგრძნობით გვექცევა:

„მიატოვოს ბოროტეულმა თავისი გზა და ცოდვილმაკაცმა — თავისი ზრახვები: მოიქცეს უფლისაკენ და ის შეიწყალებს მას; და ჩვენი ღმერთისაკენ, რადგან მრავალგზის მიმტევებელია“. „ნისლივით წარვხოცავ შენს დანაშაულს და ჯანლივით — შენს ცოდვას“ (ეს. 55:7; 44:22).

ბიბლიაში არის ასეთი სიტყვები: „რადგან არ მახარებს მე მოსაკვდავის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი. აბა, მოიქეცით და იცოცხლეთ“ (ეზ. 18:32). სატანა ყოველთვის ცდილობს თვალი აგვიხვიოს უფლისკურთხეულ აღთქმაზე.

მას არ სურს, რომადამიანს იმედის
ნაპერწკალი — სინათლის სხივი ჰქონდეს.
მაგრამ ნუ მივცემთსატანას ამის უფლებას!
ნუ მოუსმენთ მაცდურს და მუდამ მზად
გქონდეთ პასუხი: „იესომოკვდა, რათა მე
მეცოცხლა. მას ვუყვარვარ და ჩემი
გადარჩენა სურს. მემყავს ზეციერი მამა,
რომელიც თანამიგრძნობს. და, თუმცა მე
ბოროტად გამოვიყენემისი სიყვარული,
დავკარგე მისი კურთხევა, მაგრამ ავდგები,
მივალ მასთან დავეტყვი: „მე ცოდვილი
ვარზეცისა და შენს წინაშე და არა ვარ
ღირსი ვიწოდებოდემენს შვილად. მიმიღე,
როგორც ერთი შენი მსახურთაგანი“.

ამ იგავში მოთხრობილია, თუ როგორ
მიიღო მამამ დაკარგული შვილი: „როცაჯერ
კიდევ შორს იყო,მამამ დაინახადა

შეებრაღა; გაიქცა, კისერზე შემოეხვია
დადაკოცნა“ (ლუკ.15:18-20).

მაგრამ ამ ამაღეღვებელ იგავსაც არ
შეუძღია სრულად გადმოგვცეს
ჩვენიზეციერი მამის უსაზღვრო
თანაგრძნობა ჩვენდამი, ცოდვიღებისადმი.
უფღისწინასწარმეტყვეღი ასე
გადმოგვცემს ღმერთის სიტყვებს:
„სამარადისო სიყვარულით შეგიყვარე,
ამიტომაც მაღღი შეგინახე“ (იერ. 31:2). იმ
ღროს, როღესაც ცოდვიღი იმყოფება უცხო
ქვეყანაში და ფღანგავს თავის ქონებას, მამა
წუხს მის გამო. დაყოვეღი ადამიანის
გულში აღძრული სურვიღი ზეციერ
მამასთან დაბრუნებისა სხვაარაფერია, თუ
არა პასუხი წმიდა სუღის ნაზ მოწოდებაზე,
რომეღიღც უხმობს გზააბნეულ, დაკარგულ

შვილს მისი მოყვარული ზეციერი
მამისაკენ.

ნუთუ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს მასში,
როდესაც ხელთ გვაქვს ასეთი
ბიბლიური ადტექმა? განა შეიძლება იმაზე
ფიქრი, რომ უფალი სასტიკია საწყალი
ცოდვილის მიმართ, რომელსაც სურს
მიატოვოს თავისი დანაშაული, რომელსაც
სწყურია დაბრუნება, მუხლის მოყრა და
მონანიება მამის წინაშე? მოიშორეთ ამაზე
ფიქრი! არაფერი ისე არ ვნებს სულს,
როგორც ჩვენი ზეციერი მამის ასეთად
წარმოდგენა. მან თავისი თავი გასწირა
ქრისტეს სახით, რათა ყოველი მსურველი
გადარჩენილიყო და ჰქონოდა სამუდამო
ნეტარება დიდების სასუფეველში. განა
შეიძლება ითქვას რამე უფრო ძლიერად და
კარგად, ვიდრე უფალი ამბობს ესაია

წინასწარმეტყველისპირით: „განა დაივიწყებს ქალი თავის ჩვილს? არ შეიბრალებს თავისი მუცლისნაშიერს? მან რომც დაივიწყოს, მე არ დაგივიწყებ შენ“ (ეს. 49:15).

გამოფხიზლდით, გულსუსტნო! მოიშორეთ ეჭვი. იესო ცოცხალია და შუამდგომელია ჩვენი ჩვენსა და მამას შორის! მადლობა შესწირეთ ღმერთს იმისათვის, რომ მოგცათ თავისი საყვარელი ძე და ილოცეთ, რომ მისი სიკვდილი ამაო არ გამოდგეს თქვენთვის! წმიდა სული მოგიხმობთ თქვენ დღეს! მიდით იესოსთან. და თუკი ამასმთელი გულით გააკეთებთ, შეგიძლიათ იქონიოთ მისი მადლის იმედი.

უფლის სიტყვის კითხვისას არ დაგავიწყდეთ, რომ მასში ჩაქსოვილია

უფლისენით აუწერელი სიყვარული და წყალობა. მისი უსაზღვროდ მოყვარული გულიაღსავსეა ცოდვილისადმი თანაგრძნობით. „გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვებისმიტევება მისივე მადლის სიმდიდრით“ (ეფ. 1:7). თქვენ მხოლოდ ირწმუნეთ, რომ უფალი თქვენი შემწეა, რომ მას სურს ადამიანში აღადგინოს სულიერება. და თუკი მიხვალთ მასთან აღსარებით და მონანიებით, აუცილებლად მოგცემთ წყალობას დამიტევებას.

**თავი 7 ვართ თუ არა ჭეშმარიტი
ქრისტიანები?**

„მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლოდა ახლაცველაფერი ახალია“ (2 კორ. 5:17).

ხშირად ადამიანს არ შეუძლია გაიხსენოს ქრისტესკენ მისი შემობრუნების ზუსტი დრო და ადგილი, ანდა ამის წინამორბედი სხვა რაიმე პირობა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ არის მოქცეული. ქრისტემ ნიკოდემუსს უთხრა: „ქარიქრის, სადაც მოისურვებს: მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სადმიდის. ასეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი“ (იოან. 3:8). ღვთის სულის მოქმედება ადამიანის გულზე შედარებულია ქარისქროლვასთან. ქარს ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძნობთ მის არსებობას. ის გარდამქმნელი ძალა, რომელსაც ადამიანი თვალთ ვერ ხედავს,

ახალი სიცოცხლის დასაწყისია. ის ქმნის
ახალ, ღმერთისმსგავს ადამიანს.

სულიწმიდა მოქმედებს ჩუმად
დაშეუმჩნევლად, მაგრამ მისიგავლენის
ნაყოფი ხილულია. ადამიანის
სულიწმიდით განახლებული გული
მისიცხოვრების შეცვლით შეიმჩნევა ჩვენ არ
შეგვიძლია საკუთარი თავის გარდაქმნა
ანჩვენი საქმეებით უფალთან
ურთიერთობისდამყარება. არც უნდა
დავეყრდნოთსაკუთარ თავს ან კეთილ
საქმეებს, მაგრამ თუკი ღვთის მადლი
აკეთებს თავისსაქმეს ჩვენში, ეს არ იქნება
დაფარული. ჩვენს ხასიათში, თვისებებში
და საქმიანობაშიმოხდება შესამჩნევი
ცვლილებები. ადამიანები დაინახვენ დიდ
სხვაობას ჩვენსადრინდელ და ახალ
ცხოვრებას შორის. ადამიანის ხასიათი ჩანს
არა იმ კეთილ ანბოროტ საქმეებში,

რომელსაც შემთხვევით გააკეთებს იგი,
არამედ იმაში, თუ რასამბობს და აკეთებს
იგი ყოველდღე, ჩვეულებრივ და საერთოდ
თავის ცხოვრებისგზაზე.

ადამიანს შეიძლება გარეგნულად
ჰქონდეს კეთილშობილური ყოფაქცევა
ქრისტესგანმანათლებელი სულის
მოქმედების გარეშე. ეს ფაქტია. ჩვენ
შეიძლება გვქონდესკარგი ქცევის ნორმები,
რათა გავლენა ვიქონიოთ ჩვენს გარშემო
მყოფ ადამიანებზედა ვსარგებლობდეთ
საერთოპატივისცემით. საკუთარი თავის
ღირსების გამოშეიძლება თავი შევიკავოთ
ბოროტისაქმეებისაგან. ეგოისტ ადამიანს
შეუძლიაკეთილშობილური ნაბიჯების
გადადგმა.

მაშ, როგორ მივხვდეთ, ბოროტია ჩვენში
თუ კეთილი? ვის ეკუთვნის ჩვენიგული?
ვინ არის ჩვენი ზრახვათა მფლობელი? ვის
შესახებ გვიყვარს საუბარი? ვისვაკუთვნებთ
ჩვენს ყველაზე ნაზ გრძნობებს? ვის
ვემსახურებით მთელი ძალით? თუკი
ქრისტეა ჩვენში, მაშინ გვსიამოვნებს მასზე
ფიქრი. ჩვენ ვანდობთ მასყველაფერს, რაც
გაგვაჩნია, საკუთარი თავის ჩათვლით.
გვიჩნდება სურვილიდავემსგავსოთ მას,
ავივსოთსულიწმიდით, აღვასრულოთ მისი
ნება და ყველაფერშიმისი მორჩილნი
ვიყოთ.

ყოველი ახალი ქმნილება იესო ქრისტეში
გამოიღებს თავის ცხოვრებაში
სულისნაყოფს: „სიყვარული, სიხარული,
მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება,

სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე,
თავშეკავება“ (გალ. 5:22,23).

ასეთი ადამიანები არ დაემორჩილებიან
თავის ძველ სურვილებს, არამედ უფლისძის
რწმენით გაჰყვებიან მის ნაკვალევს, ექნებათ
მისი ხასიათი და განიწმიდებიან, რათა
იყვნენ უმანკო, როგორც უფალი. ახლა
ისინი შეიყვარებენ იმას, რაც
ადრესძულდათ და შეიძულებენ იმას,
რაცადრე მოსწონდათ: ამაყნი და
თვითდაჯერებულნი გახდებიან
თავმდაბალნი და გულითმორჩილნი.
ფუქსავატნი დაქედმაღალნი—
სერიოზულნი და მშვიდნი. ლოთები
გამოჯანსაღდებიან,
გარყვნილები პატიოსნებით შეიმოსებიან.
ქვეყნიური ჩვევები და გემოვნებები
უარყოფილ იქნებიან. ქრისტიანებს

მიიზიდავს არა „გარეგნული მშვენიერება და ჩაცმულობა“, არამედ, „გულისდაფარული კაცი უბრწუნელ მყუდროებაში და სულის სიმშვიდეში“ (1 პეტრ. 3:3,4).

მონანიება არ შეიძლება იყოს გულწრფელი, თუკი მას ადამიანის გარდაქმნა არ მოჰყვება. როდესაც ცოდვილი დააბრუნებს წინდს (გირაოს გამოსასყიდს), მოპარულს დაუბრუნებს პატრონს, აღიარებს ცოდვებს, შეიყვარებს ღმერთს და ახლობლებს, მაშინ იგი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა.

როდესაც ჩვენ, ჭეშმარიტ გზას აცდენილები, მივდივართ ქრისტესთან, ვაღიარებთ ჩვენს დანაშაულს და ვხდებით

მოზიარენი მისი მიმტევებელი მადლისა,
გულისიყვარულით გვევსება. მაშინ
არავითარი ტვირთი მძიმედ არ
მოგვეჩვენება, რადგანქრისტეს უღელი
მსუბუქია. მაშინ მოვალეობის შესრულება
— სიხარულია, სამსხვერპლოსამსახური კი
— სიამოვნება. გზა, რომელიც ადრე
ბნელით იყო მოცული, სიმართლისმზის
სხივებით შეიმოსება.

ქრისტეს ხასიათის სილამაზე მის
მიმდევრებში გამომჟღავნდება. იესო
სიხარულითასრულებდა ღვთის ნებას. მისი
ყოველი ნაბიჯი უფლის სიყვარულითა და
მისიგანდიდების უდიდესი სურვილით
იყო სავსე. ყოველ მის ქცევას
განსაკუთრებულკეთილშობილებას
დამიმზიდველობას ანიჭებდა სიყვარული.
სიყვარული ურწმუნოსგულს არ შეუძლია,

რადგან ღმერთია სიყვარულის სათავე.
სიყვარული მხოლოდ იქსუფევს, სადაც
იესოა. „ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ
პირველად მან შეგვიყვარა“ (1 იოან. 4:19).
ღვთის მადლით განახლებული
გულისმამოძრავებელი ძალა
სიყვარულია. იგი გარდაქმნის ხასიათს,
მართავს გრძნობებს, აოკებს
ვნებათაღელვას, ანელებს მტრობას და
აკეთილშობილებს ადამიანს. სწორედ
გულში ჩაქსოვილი ასეთი
სიყვარული ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას
და კეთილ გავლენას ახდენს მის გარშემო
მყოფს აზოგადობაზე.

არსებობს ორი საშიშროება, რომელთაც
უფლის შვილები უნდა
უფრთხილდნენ, განსაკუთრებით კი ისინი,
ვინც ახლად ეზიარა ღვთის მადლს.

პირველი: როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უფალთან ურთიერთობა არ მიიღწევა საქმეებით. ის, ვინც ცდილობს განიწმიდოს რჯულის თავისი ძალებით აღსრულებით, წარმატებას ვერ მიაღწევს. ეგოიზმითა და ცოდვით არის დასვრილი ყველაფერი ის, რასაც ადამიანი აკეთებს ქრისტეს გარეშე. მხოლოდ რწმენით მიღებული ქრისტეს მაღლით განვიწმიდებით.

მეორე სერიოზული შეცდომაა ის, რომ თითქოს ქრისტეს რწმენა ათავისუფლებს ადამიანს უფლის მცნებების დაცვის აუცილებლობისაგან და რადგან ჩვენ რწმენით ქრისტეს მაღლის მოზიარენი ვართ, ჩვენს საქმეებს არავითარი მნიშვნელობა არაა ქვე ჩვენივე გადარჩენისათვის.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ
მორჩილება არ არის კანონის
ფორმალურიალსრულება, არამედ იგი
სიყვარულით მსახურებაა. ღმერთის კანონი
მისი ღვთიური ბუნების გამოვლინებაა. ის
არის სიყვარულის უდიდესი პრინციპების
განსახიერება და სწორედ ამიტომ დაუდო
უფალმა საფუძვლად იგი ღვთიურ
მმართველობას ზეცაში და დედამიწაზე.
თუკი ჩვენ უფალს ვემსგავსებით, თუკი
ჩვენს სულში ღვთიური სიყვარული სუფევს,
განა ბუნებრივი არ იქნება ჩვენთვის მისი
მცნებების აღსრულება? როდესაც ადამიანის
გული სავსეა სიყვარულით, როდესაც
იგი განახლებულია ღვთის ხატად, მაშინ
სრულდება მასზედ ახალი აღთქმა:

„მივცემჩემს რჯულს მათ გულებს და ჩავწერ
მათ გონებაში“ (ებრ. 1:16). და თუკი რჯული
გულზეა დაწერილი, განა ის ზეგავლენას არ

მოახდენს მის ცხოვრებაზე? სიყვარულით აღსრულებული მორჩილება და მსახურება სწორედ ნიშანია ქეშმარიტი ქრისტიანობისა. წერილში ნათქვამია: „ღვთის სიყვარული ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს: ვინც ამბობს, შევიცანიო იგი და მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და არ არის მასში ქეშმარიტება“ (1 იოან. 5:3; 2:4). რწმენა ადამიანს არათავისუფლებს მორჩილებისაგან. ის ქრისტეს მაძლის თანაზიარს გვხდის და ეს ძალას გვაძლევს მორჩილებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხსნას მხოლოდ მორჩილებით ვერ მოვიპოვებთ. უფალი ხსნას გვაძლევს უანგაროდ, ჩვენ კი მას რწმენით ვღებულობთ. მორჩილება რწმენის ნაყოფია. „თქვენ იცით, რომ იგი გამოჩნდა, რათა იტვირთოს ჩვენი ცოდვები და რომ მასში არ არის ცოდვა. ყოველი, ვინც

რჩება მასში, არ სცოდავს.

ვერცერთიშემცოდე ვერ იხილავს და ვერ შეიცნობს მას“ (იოან. 3:5,6). ასე გამოიცდება ჩვენირწმენა. თუკი ჩვენ ქრისტეში ვართ, თუკი ღვთის სიყვარული ჩვენშიცოცხლობს,ჩვენი გრძნობები, აზრი, ზრახვები და ქცევები შერწყმული იქნება უფლის ნებასთან,რომელიც გამოხატულია მის წმიდა მცნებებში. „შვილებო, ნურავინ გაცდუნებთ,სიმართლისმოქმედი მართალია ისევე, როგორც ის (ქრისტე) არის მართალი“ (1 იოან. 3:7). სიმართლისსაზომი რჯულია, რომელიც ათი მცნებისაგან შედგება და რომელიცხალხს მიეცა სინაის მთაზე.

ე.წ. ქრისტეს რწმენა, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს ღვთის მორჩილებისაუცილებლობისაგან, რწმენა

კი არა, თვითრწმენაა. „მადლით ხართ
გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით“ (ეფ.
2:8). ასევეა რწმენაც: „თუ საქმენი არ გააჩნია,
თავისთავადმკვდარია“ (იაკ. 2:17). სანამ
იესო დედამიწას მოევლინებოდა, მან თავის
თავზეესთქვა: „შენი სურვილის შესრულება
მინდოდა, ღმერთო დარჯული შენი ჩემს
გულშია“ (ფს. 39:9). ზეცადამაღლებაამდე კი
მან განაცხადა: „მედავიცავი მამაჩემის
მცნებები და დავრჩი მის სიყვარულში“
(იოან.15:10). წმიდაწერილში წერია: „იმით
გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ
დავიცავთ მის მცნებებს...ვინც ამბობს, რომ
მასში რჩება, ისევე უნდა მოიქცეს, როგორც
ის იქცეოდა“ (1 იოან. 2:4-6).

„ამისათვისხართ მოწოდებულნი: ქრისტეს
ხომ ეტანჯა თქვენთვის დამაგალითიც
დაგვიტოვა, რათა მის კვალს მივყვეთ“
(პეტრ. 2:21).

სამარადისო სიცოცხლეში გადასვლის
პირობა დღესაც იგივეა, რაც იყო
სამოთხეშიჩვენს წინაპართა სულიერ
დაცემამდე: — სრული მორჩილება ღვთის
წინაშე დასრულყოფილი სიმართლე.
მთელი სამყაროს კეთილდღეობას საფრთხე
დაემუქრებოდა, რომ სამარადისო
სიცოცხლისათვის სხვა, უფრო მცირე
პირობა ყოფილიყო მოცემული. ამ
შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა
ცოდვის დამკვიდრება
დედამიწაზე, რომელიც გაუთავებელ
უბედურებას და ტანჯვას მოუტანდა მთელ
სამყაროს.

სულიერ დაცემამდე ადამი უფლის
მცნებების მორჩილი იყო და ამით
შეეძლო მიეღწია ხასიათის

სიმართლისსრულყოფილებას. მაგრამ იგი არ წავიდა ამ გზით.მისი ცოდვის გამო მემკვიდრეობით მოგვეცა დაცემული, დანაშაულებრივი ბუნებადა ამიტომ ჩვენი ძალებით მართლები ვერ შევიქნებით. იმ მიზეზით, რომ ჩვენცოდვილნი და უღირსნი ვართ, წმიდა მცნებების შესრულება სრულად არ შეგვიძლია.არა გვაქვს ის სიმართლე, რომელიცდააკმაყოფილებდა ღმერთის კანონების მოთხოვნას.მაგრამ ქრისტემ გზა გაგვიხსნა გადარჩენისაკენ. დედამიწაზე ცხოვრებისას მასიგივე გამოცდა და ცდუნება ხვდა წილად, როგორც გვხვდება ჩვენ და მიუხედავადამისა, მან წმიდა ცხოვრებით იცხოვრა. ის მოკვდა ჩვენთვის. და დღეს სურსდაგვიხსნას ცოდვისაგან და მოგვცეს თავისი სიმართლე. თუკი თქვენ მთლიანადმიენდობით უფალს და მიიღებთ

მას, როგორც თქვენს პირად მხსნელს,
მაშინ, მიუხედავად ცოდვებისა, თქვენ
გამართლებულნი ხართ მისი დამსახურების
გამო დათქვენი ხასიათი ქრისტეს ხასიათს
დაემსგავსება. ღმერთი გლებულობთ
თქვენისეთებს, თითქოს არასოდეს
შეგიცოდავთ. უფრო მეტიც: ქრისტე
გარდაქმნის თქვენს გულს: იგი შემოდის
თქვენში, თუკი თქვენ მიენდეთ მას. თქვენ
რწმენითუნდა შეუწყოთ ხელი ქრისტესთან
თქვენს ურთიერთობას და უნდა
დამორჩილდეთ მის ნებას. და თუკი ამ
მდგომარეობას მიაღწევთ, ის აღძრავს
თქვენში „სურვილსაც და თავისი ნებით
მორჩილებასაც“ და მაშინ შეგიძლიათ
თქვათ: „ახლა რომხორციელად ვცოცხლობ,
რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში,
რომელმაც მე შემიყვარა და თავი მისცა
ჩემთვის“ (გალ. 2:20). იესომ თავის

მოწაფეებს უთხრა: „ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში“ (მათ. 10:20). და მაშინ ქრისტესთან ერთად, რომელიც თქვენშია, შესძლებთ გამოავლინოთ ეს სული და მორჩილებითავე თქვენი კეთილი და მართალი საქმეები.

მაშასადამე, ჩვენ არაფერი გვაქვს სატრაბახო. არავითარი საფუძველი არაგვაქვს საკუთარი თავის განდიდებისათვის. ჩვენი ერთადერთი იმედი — ეს არის ქრისტეს სიმართლე, რომელიც მისი სულის მოქმედების შედეგია ჩვენში და ჩვენით.

რწმენაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: დაიჯერო დამიიღო ის ფაქტი, რომელსაც მტკიცება არ

სჭირდება, ეს ჯერ კიდევ არ
ნიშნავს ქეშმარიტ რწმენას. ყოვლისშემძლე
ღმერთის არსებობა, მისი სიტყვის
ქეშმარიტება— ეს არის ფაქტი,
რომლის უგულებელყოფა თვით სატანას და
მის მხედრობასაცარ შეუძლია. ბიბლია
ამბობს: „ეშმაკებსაც სწამთ იგი და
კანკალებენ“ (იაკ. 2:19). მაგრამ ეს არ არის ის
რწმენა, რომელსაც უფალი მოელის ჩვენგან.
ქეშმარიტი რწმენა სიყვარულის საქმეებით
ვლინდება, სულს განაახლებს და ეს
არამხოლოდ ღვთის სიტყვის აღიარებაა,
არამედ მისი ნებისადმი მორჩილება და
სიყვარულითსავსე გულით მინდობა. ასეთი
რწმენა განაახლებს ადამიანს და აღადგენს
მას ღვთის ხატებას. აქამდე ადამიანი არ
ემორჩილებოდა და არც
შეიძლებოდა ამორჩილებოდა
რჯულს. განაახლებულ ადამიანში კი წმიდა

მცნებები სიხარულს იწვევენ და ის მეფსალმუნესთან ერთად იტყვის:
„რარიგად მიყვარს შენირჯული, ის არის ჩემი საფიქრალი დღენიადაგ“ (ფს. 118:97).
„ახლა რჯულისსამართლიანი მოთხოვნა აღსრულდება ჩვენში, რომელნიც ვცხოვრობთ არახორციელად, არამედ სულიერად“ (რომ. 8:1).

არიან ადამიანები, რომელთაც შეიმეცნეს ქრისტეს მიმტევებლური სიყვარული და მთელი გულით სურთ უფლის მორჩილება. მაგრამ ისინი ხედავენ თავიანთარასრულყოფილებასა და ნაკლს, ამიტომ შეიძლება ექვი შეეპაროთ იმაში, რომმათი გული უკვე განახლებულია სულიწმიდით. ასეთებს მინდა ვუთხრა: „ნუ ჩავარდებით სასოწარკვეთილებაში“. ჩვენ ჯერ კიდევ არა ერთხელ მოგვიწევს ქრისტეს

წინაშემუხლის მოყრა და ჩვენი შეცდომების ცრემლებით აღიარება, მაგრამ სულით არუნდა დავეცეთ. და თუკი ზოგჯერ მტერი იმარჯვებს ჩვენზე, იცოდეთ, რომ უფალიარ მიგვატოვებს და არც უარგვყოფს. დიახ, ქრისტე დგას უფლის ტახტის წინაშედა შუამდგომლობას გვიწევს. უფლის საყვარელი მოწაფე იოანე ამბობდა: „ამასგწერთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ. ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავსშუამდგომელი მამის წინაშე — მართალი იესო ქრისტე“ (1 იოან. 2:1). მუდამ გახსოვდეთქრისტეს სიტყვები: „თვით მამას უყვარხართ თქვენ“ (იოან. 16:27). მას სურს აღადგინოსთქვენში უფლის ხატება, რათა თქვენში აირეკლოს მისი სიწმიდე და ნათელი.საკმარისია დამორჩილდეთ მას და მაშინ უფალი, რომელმაც თავიდანვე დაიწყოთქვენში კეთილი საქმის კეთება,

განაგრძობს მის კეთებას იესო ქრისტეს
მოსვლამდე. ბევრი ილოცეთ, განმტკიცდით
რწმენაში! საკუთარ ძალებში
იმედგაცრუებულნი, მივენდოთ ჩვენი
მხსნელის ძალას და ვადიდოთ იგი — ჩვენი
სულების მკურნალი.

რაც უფრო ახლოს მიხვალთ ქრისტესთან,
მით უფრო მეტ ნაკლს დაინახავთ თქვენს
ხასიათში, რადგან გამახვილდება თქვენი
სულიერი მხედველობა.

მისსრულქმნილებასთან შედარებით ჩვენი
სუსტი მხარეები უფრო აშკარა გახდება.

ესიმაზე მეტყველებს, რომ სატანის
ცდუნებამ თქვენზე ზეგავლენა დაჰკარგა
დასულიწმიდის მაცოცხლებელი გავლენა
გაფხიზლებთ.

ადამიანში, რომელიც არ აღიარებს თავის ცოდვას, არ შეიძლება იყოს ქრისტესადმიდანი სიყვარული. ქრისტეს მაღლით გარდაქმნილი გული ყოველთვის ადიდებსუფლის ღვთიურ ხასიათს. მაგრამ თუკი ჩვენ ვერ ვხედავთ ჩვენს სულიერ ნაკლს, ესიმას მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ვერ შევიცანით ქრისტეს ხასიათის სილამაზე დასრულყოფილება.

რაც უფრო ნაკლებად ვიამაყებთ საკუთარი თავით, მით უფრო დავაფასებთჩვენი მხსნელის უდიდეს სიწმიდეს და მიმზიდველობას. აღიარება იმისა, რომ ჩვენცოდვილები ვართ, გვიჩვენებს გზას მისკენ, ვინც ცოდვას ყოველთვის მოგვიტევენს.უძლური სული ეძებს ქრისტეს, რომელიც გაეხსნება მას მთელი თავისი ძლიერებით.რაც უფრო

მეტად ვგრძნობთ საჭიროებას მასში და ღვთის სიტყვაში, მით უფროამაღლებული წარმოდგენა გვექნება მის ხასიათზე და მეტი სისავსით გამოვავლენთმის ხატებას.

თავი 8 სულიერი ზრდა ქრისტეში

იმ შინაგან გარდაქმნას, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ღვთის შვილები ვხდებით, ბიბლიურად ჰქვია „დაბადება ზემოდან“, ანუ „ხელახლა შობა“. იგი შეიძლება შევადაროთ კეთილი თესლის აღმოცენებას, რომელიც მთესველმა დათესა. „ახლადდაბადებულებმა“ უნდა განიცადონ სულიერი ზრდა „ქრისტეს სრული ასაკის ზომამდე“ (1 პეტრ. 2:2; ეფ. 4:13) ველზე დათესილი კეთილი თესლის მსგავსად, რომელიც უნდა გაიზარდოს და ნაყოფი გამოიღოს. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს,

რომ მათდაერქმევათ „სიმართლის მუხები, საუფლო ნერგი, რომ იდიდონ“ (ეს. 61:3). ეს ბუნებიდანაღებული მაგალითები გვეხმარება ჩვენი სულიერი ცხოვრების იდუმალების უკეთგასაგებად.

ადამიანური ცოდნა და სიბრძნე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სიცოცხლემივცეთ ყველაზე პატარა არსებასაც კი. მცენარეები და ცხოველები არსებობენმხოლოდ ღვთის მიერ მათში ჩადებული ძალით. ადამიანებშიც სულიერი სიცოცხლემხოლოდ უფლისაგანაა. თუ ადამიანი „არ დაიბადა ზემოდან“, (იოან. 3:3), მას არექნება წილი იმ სიცოცხლეში, რომლის მოსაცემადაც იესო ქრისტე მოვიდა დედამიწაზე.

იგივე შეიძლება ითქვას ზრდაზე:
მცენარეები ყვავილობენ და ნაყოფს
გვაძლევენ ღვთის ძალით. ღმერთის ძალით
თესლი გამოიღებს „პირველად ჯეჯილს,
მერეთავთავს, შემდეგ კი სავსე თავთავს
მარცვალში“ (მარკ. 4:28). ოსია
წინასწარმეტყველია მობს: „ისრაელი
აყვავდება, როგორც შრომანი“; „სიცოცხლეს
მიანიჭებენ ხორბალს და ვაზით
აყვავილდებიან“ (ოს. 14:6,8). იესო კი
გვეუბნება: შეხედეთ შრომანებს, როგორ
იზრდებიან“ (ლუკ. 12:27). მცენარეები და
ცხოველები თავისით არ იზრდებიან, არამედ
ღვთისაგან ღებულობენ ყველაფერს, რაც
მათი სიცოცხლისათვის არის საჭირო. რაც
არ უნდა ეცადოს ბავშვმა, თავისით
სიმაღლეს ვერასოდეს მოიმატებს. ასევე
თქვენც, საკუთარი ძალებით და
მონდომებით ვერ შესძლებთ სულიერ

ზრდას. მცენარეები და ბავშვები იზრდებიან იმით, რომგარედან ღებულობენ იმას, რაცაუცილებელია მათი სიცოცხლისათვის: ჰაერს, მზის სინათლეს და კვებას. ეს ბუნებრივისაზრდო ისევე აუცილებელია ცხოველებისათვის და მცენარეებისათვის, როგორცქრისტეა საჭირო მათთვის, ვისაც მისი იმედი აქვს. ის „მზე და ფარია“ მათთვის და„საუკუნო მნათობი“ (ეს. 60:19; ფს. 83:12). იგი არის „ცვარი ისრაელისათვის“ (ოს. 14:6). „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულმდელოზე. როგორც წვეთები, მიწას რომრწყავენ“ (ფს. 71:6). ის სიცოცხლის წყაროა, „პური, რომელიც ზეციდან ჩამოდის დასიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს“ (იოან. 6:33).

გამოუგზავნა რა წუთისოფელს
შეუდარებლად ძვირფასი ძღვენი თავისი

მისსახით, ღმერთმა მთელი დედამიწა
მადლის ატმოსფეროთი შემოფარგლა,
ისეთივერეალურით, როგორცაა ჰაერის
ატმოსფერო. ყველა, ვინც ესწრაფვის ამ
სიცოცხლისმომცემ ატმოსფეროს,
იცოცხლებს და აღიზრდება „ქრისტეს
სრული ასაკის ზომამდე“.

როგორც ყვავილი მიისწრაფვის მზისაკენ,
რომლის სხივებისგანაც იგი
ღებულობს სრულყოფილ ფორმას და
სილამაზეს, ასევე უნდა ვესწრაფვოდეთ
ჩვენ სიმართლისმზისაკენ, რათა ჩვენც
გაგვაციკროვნოს ციურმა ნათელმა და
სულ უფრო დაუფრო ვემსგავსოთ ქრისტეს.

იგივე გამოიკვეთება ქრისტეს სიტყვებში:
„თქვენ ჩემში დარჩით, მე კი — თქვენში.
როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს

თავისით, ისევე თქვენც, თუ ჩემშიარ
დარჩებით“ (იოან. 15:4,5). „უჩემოდ არაფერი
არ შეგიძლიათ“ (იოან. 15:5). როგორცტოტს
არ შეუძლია ზრდა და ნაყოფის მოცემა
ღეროს გარეშე, ასევე თქვენც არშეგიძლიათ
წმინდა ცხოვრებით ცხოვრება, თუ არ
იქნებით ქრისტეში. ხოლო თუმასში
დარჩებით, სრულყოფილი ცხოვრებით
იცხოვრებთ. მის გარეშე თქვენ
ვერიცოცხლებთ. მისგან მიიღებთ
სიცოცხლის ძალას და არ დარჩებით
სრულყოფილებისადა ნაყოფის გარეშე.
თქვენ დაემსგავსებით სიცოცხლის
წყაროსთან დარგულ ხეს.

ბევრი თვლის, რომ ამ საქმის ნაწილი ჩვენ
დამოუკიდებლად უნდა
შევასრულოთ. ისინი თვლიან, რომ
ცოდვების მიტევების საქმეში, რა თქმა

უნდა, საჭიროამივენდოთ ქრისტეს,
დანარჩენ შემთხვევაში კი თვითონ ჩვენ
უნდა ვიცხოვროთწესიერი ცხოვრებით.
მაგრამ ასეთ ძალისხმევას წარმატება არ
უწერია. მხოლოდიესოსთან ყოველდღიური
და ხშირი ურთიერთობით და მასში
შეგვიძლია მივალწიოთსულიერ ზრდას
მამის მადლით. იესო ამბობს: „უჩემოდ
არაფრის გაკეთება არშეგიძლიათ“. ჩვენი
სულიერი ზრდა მისი მადლით, ჩვენი
სიხარული და სხვებისათვისსასარგებლო
ცხოვრება — ყველაფერი ეს
დამოკიდებულია ქრისტეს ძალაზე.

იგი არა მარტო საწყისია ჩვენი რწმენის,
არამედ დასასრულიც. ქრისტეა პირველიდა
უკანასკნელი — მარად არსებული. ის
ჩვენთან უნდა იყოს არა მხოლოდ
გზისდასაწყისში და დასასრულს, არამედ

ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე. დავითი ამბობს: „წარმოვიდგენ უფალს ჩემსპირდაპირ მუდამ, რადგან ჩემს მარჯვნივ არის; არ დავეცემი“ (ფს.15:8).

თქვენ გებადებათ კითხვა: „როგორ უნდა დავრჩეთ ქრისტეში?“, ისევე, როგორც დასაწყისში, როდესაც მიიღეთ იგი. „ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში“ (კოლ.2:6). „მართალი იცოცხლებს რწმენით“ (ებრ. 10:38). მიუძღვენით თქვენი თავი უფალს სრული მორჩილებით და ემსახურეთ მას. მიიღეთ ქრისტე, როგორც თქვენი მხსნელი. თქვენ არ შეგეძლოთ გამოგესყიდათ თქვენი ცოდვები საკუთარი დამსახურებით. არ შეგიძლიათ თქვენი თავის გარდაქმნა. მაგრამ როდესაც მიენდეთ ღმერთს, ირწმუნეთ, რომ ეს ყველაფერი

მამამ გაგიკეთათქრისტეს გულისათვის.
თქვენ რწმენით მიეკუთვნეთ ქრისტეს და
რწმენითვე უნდა აღიზარდოთ მასში, უნდა
გასცეთ და უნდა მიიღოთ. თქვენ უნდა
მიუძღვნათ ყველაფერი მას: გული,
ნებისყოფა, მსახურება. სრულად უნდა
მიენდოთ, რათა შეასრულოთ მისი ნება.
თქვენ უნდა მიიღოთ მისგან ყველაფერი:
სრულყოფილი კურთხევა ქრისტეს სახით,
რათა იგი მუდამ თქვენში იყოს და მოგცეთ
ძალა, თავისისი მართლე და დაგეხმაროთ
მორჩილებაში.

მიუძღვენით თქვენი თავი უფალს ყოველ
დილას: დაე, ეს იყოს
თქვენთვის უპირველესი საქმე. ასეილოცეთ:
„მიმიღე, უფალო. მე მთელი არსებით შენ
გეკუთვნი. შენთვის მომინდვია მთელი ჩემი
გეგმები. გამომიყენე, უფალო, დღეს

შენი მსახურებისათვის. იყავი ჩემთან, რათა ჩემი მსახურება შენში აღსრულდეს“.

ყოველდღე, ყოველ დილას, მიუძღვენით თქვენი თავი უფალს მთელი დღით.

დაუქვემდებარეთ მას თქვენი გეგმები.

ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობდა ქრისტე: შრომასა და ლოცვებში. ადამიანი, რომელიც არაფერსაკეთებს, ლოცვის გარდა, მალე შეწყვეტს ლოცვას, ან მისი ლოცვა მალე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს მიიღებს.

როდესაც ადამიანები გაურბიან საზოგადოებრივ შრომას,
თავიანთი ქრისტიანული მოვალეობის შესრულებას და ქრისტეს მიმდევრის ტარებას,
როდესაც აღარ ეწევიან გულმოდგინე შრომას უფლისათვის, რომელიც დაუღალავად შრომ

ობდამათთვის, მათლოცვასაზრიაღარააქვს.
მათეკარგებათღვთისმოსაობისყოველგვარი
სურვილი.

ისინიმხოლოდთავისთვისლოცულობენდაა
რაკაცობრიობისათვის,
არაქრისტესასუფევლისშენებისათვის, არაი
მისათვის,
რომუფალმამისცესმათძალამსახურებისათვ
ის.

ჩვენბევრსგვარგავთ,
როდესაცხელიდანვუშვებთერთადყოფნისშ
ესამლებლობას, რათაგანვამტკიცოთდაგავამ
ხნევოთერთმანეთიღვთისმსახურებაში.
ღვთისჭემმარიტისიტყვაკარგავსთავისძალა
სდამნიშვნელობასჩვენთვის.
იგიუკვეაღარანათებსდააღარგანწმენდსჩვენ
სგულებსდაჩვენცსულიერადვკვდებით. ჩვენ
ბევრსგვარგავთ,

როდესაც ართანავუგრძნობთ ერთმანეთს.
თავისნაჭუჭში ჩაკეტილი ქრისტიანი ვერასრულ
ულებს ღმერთის მიერ დავალებულ საქმეს.
ქრისტიანული სიყვარულის სულით აღზრდილი
ადამიანი ყოველთვის იჩენს თანაგრძნობას
სდაყურადღებას სხვების მიმართ და გვამტკიცებს
ღვთისმსახურებაში.

ქრისტიანები რომ ხშირად იკრიბებოდნენ
და საუბრობდნენ შემოქმედის სიყვარულისა
დამისი გამომსყიდველი ქეშმარიტების შესახებ,
თვითონაც სულიერად განმტკიცდებოდნენ და
ასხვებზეც კეთილზე გავლენას მოახდენდნენ.
ჩვენ შეგვიძლია დღითიდღე უფრო მეტი ცოდნა
მივიღოთ ჩვენი ზეციერი მამისა და მისი მადლის
შესახებ ყოველდღიური ცხოვრებისეულ
იგამოცდილებით,
ესკიმის სიყვარულის შესახებ საუბრის სურვე

ილსგაგვიღვიძებს. დამაშინგაგვითბება გულ
ები და გავმხნევდებით. ჩვენ
რომ უფრო მეტს ვფიქრობდეთ და ვსაუბრობდ
ეთქრის ტესშესახებ,
დანაკლება და საკუთართავზე,
ბევრად უფრო სრულად ვიგრძნობთ მისსიახ
ლოვეს.

ჩვენს მიმართ უფლის სიყვარულისა და
მზრუნველობის ყოველი
გამოვლენისას უფალს რომ მის კუთვნილ
დიდებას მივაგებდეთ და მადლიერებით
ვფიქრობდეთ მასზე, უფრო ხშირად
გავიხსენებდით და სიხარულით
განვადიდებდით მის სახელს. ჩვენ ხშირად
ვსაუბრობთ ამქვეყნიურ საქმეებზე,
ვინაიდან გვაინტერესებს ისინი. ხშირად
ვიხსენებთ მეგობრებს, ვინაიდან გვიყვარს
ისინი და ვუზიარებთ ჩვენს სიხარულსა და

მწუხარებას. მაგრამ განა უფრო მეტი
მიზეზი არა გვაქვს იმისათვის, რომ
მეგობრებზე მეტად ღმერთი გვიყვარდეს?
მასზე ფიქრი, მის სიკეთეზე დაძლიერებაზე
საუბარი — აი, რა უნდა იყოს ჩვენთვის
ყველაზე მნიშვნელოვანი. უფალმა უხვად
მოგვცა საბოძვარი არა იმიტომ, რომ
სრულად დავივიწყოთ ის, ვისაც ჩვენი
სიცოცხლე ეკუთვნის. პირიქით, ყოველი
ჩვენი შენაძენი მუდამ უნდა გვახსენებდეს
მას და სიყვარულისა და მაძლიერების
გრძნობით უნდა დაგვაკავშიროს მასთან,
ვინც ამ სიკეთეს უხვად გვაძლევს. ჩვენ
ძალზე ხშირად ვფიქრობთ
მიწიერზე. მივაპყროთ მზერა ზეციური
საწმინდარის გახსნილ კარს, საიდანაც
ქრისტეს ღვთიური დიდების ნათელი
გამოდის, „რომელსაც ძალუმს სრულად
გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი

შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს“
(ებრ. 7:25).

ვადიდოთ უფალი და „წყალობა მისი და
საოცრებანი მისნი ადამის ძეთამიმართ“ (ფს.
106:8). ჩვენი რელიგიური ცხოვრება არ
უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ
თხოვნებით და მათზე პასუხის
მოლოდინით. მუდამ ხომ არ
ვიფიქრებთ საკუთარ საქიროებებზე და
დავივიწყებთ უფლისაგან მიღებულ
კურთხევას? რა იშვიათად ვლოცულობთ და
რა სიძუნწეს ვიჩენთ სამადლობელ
სიტყვებში! რა უხვი, ყოველდღიური
წყალობა გვაქვს ღმერთისაგან და რა
უმადურნი ვართ! რა იშვიათად ვადიდებთ
მას იმისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთა!

ძველად, როდესაც ისრაელიანები ღვთისმსახურებისათვის იკრიბებოდნენ, უფალი უბრძანებდა მათ: „ჭამეთ აქ, უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე და გაიხარეთ თქვენინაამაგარით, რომელიც დაგილოცა უფალმა, შენმა ღმერთმა“ (მეორე რჯ. 12:7). ყველაფერი, რაც ღმერთის სადიდებლად კეთდება, სიხარულით, სახოტბოსაგალობლებითა და მაღლიერებით უნდა გაკეთდეს და არა წუხილითა დაგულგრილობით.

ჩვენი ღმერთი მზრუნველი, მოწყალე ღმერთია. მისი მსახურება ჩვენთვის არუნდა იყოს დამღლევი, უსიხარულო საქმე. ღვთისმსახურება და უფლის საქმეებშიმონაწილეობის მიღება — აი, რამ უნდა მოგვგვაროს ჭეშმარიტი კმაყოფილება. უფალს არ სურს, რომ მის

შვილებს, რომელთა გადარჩენისათვისაც მან ასეთიგმირობა ჩაიდინა, წარმოდგენა ჰქონდეთ მასზე, როგორც მკაცრ და დამსჯელმბრძანებელზე. ღმერთი ჩვენი საუკეთესო მეგობარია. მას ჩვენთან ყოფნა, ჩვენიკურთხევა და დამშვიდება, ჩვენი გულების სიხარულითა და სიყვარულით ავსებასურს. უფალს სურს, რომ მისდამი მსახურება მისი შვილებისათვის მძიმე ტვირთი კიარ იყოს, არამედ — კმაყოფილება და სიმშვიდე. მას სურს, რომ მის თაყვანსაცემად მოსულმა ადამიანებმათან წაიყოლონ ძვირფასი ფიქრები უფლის მზრუნველობისადა სიყვარულის შესახებ, რათა ამურთიერთობაში ჰპოვონ სიმხნევე და ძალა ყოველდღიური საქმიანობისათვის და მისი მადლითა და კურთხევით ყველა საქმეში იყვნენ პატიოსანნი და ერთგულნი.

ქრისტეს ჯვარმა უნდა გაგვაერთიანოს.
ჯვარცმული ქრისტე უნდა იყოს
ჩვენისაუბრებისა დამსჯელობის საგანი,
ყველაზე სასიხარულო და უძვირფასეს
გრძნობათაწყარო. უნდაგვახსოვდეს
უფლისაგან მიღებული ყოველი კურთხევა
და როგორცკი შევიცნობთ მის ჩვენს მიმართ
უსაზღვრო სიყვარულს, ყველაფერს
მივუძღვნითმას, ვინც ჯვარს ეცვა ჩვენი
გადარჩენისათვის.

უფალთან ასეთი ურთიერთობის
შედეგად ჩვენი სულები დიდების
ჰიმნებსმიუძღვნიან ზეცას. ზეციური
ბინადარნი უფალს მუდამ თაყვანს სცემენ
და პატივსმიაგებენ საგალობლებითა
დამუსიკით და როდესაც ჩვენი გულები
მადლობასსწირავენ უზენაესს, ჩვენი
ღვთისმსახურება სულ უფრო ემსგავსება

ზეციური მხედრობისმსახურებას.

„მაღლობის შემომწირავიგანადიდებს
ღმერთს“ (ფს. 49:23). მაშ, წარვსდგეთუფლის
წინაშე წმინდა სიხარულით. თაყვანი ვცეთ
მას „სამაღლობელით და გალობისხმებით“
(ეს. 51:3).

თავი 12 როგორ გავთავისუფლდეთ ექვებისაგან?

ბევრ ადამიანს, რომელმაც ახლად შეაბიჯა ქრისტიანულ ცხოვრებაში, ხშირადექვები სტანჯავს. ბიბლიაში დაწერილია ბევრი ისეთი რამ, რაც მათ არ ესმით დავერც ხსნიან, სატანა კი სარგებლობს ამით და ცდილობს შეარყიოს მათი რწმენაწმინდა წერილისადმი. ასეთ ადამიანს ებადება კითხვა: „როგორ ვიპოვო ქეშმარიტებისგზა? თუკი ბიბლია ნამდვილად ღმერთის სიტყვაა, მაშინ, როგორ გავთავისუფლდეექვებისაგან და როგორ მოვიშორო ამაზე ფიქრი?“

უფალს არასოდეს სურდა, გვექონოდა მისდამი ბრმა რწმენა, საკმარისი მტკიცებებისგარეშე, რასაც იგი ჩვენი

რწმენის განმტკიცებისათვის გვაძლევდა.
მისი არსი,ხასიათი, მისი სიტყვის
ჭეშმარიტება დაფუძნებულია მოწმობებზე,
რომელიც საკმარისადარის ბიბლიაში.
მაგრამ უფალმა არ გამორიცხა ეჭვის
შესაძლებლობაც. ჩვენი რწმენა
დამყარებული უნდა იყოს
დამადასტურებულ საბუთებზე და არა
რადაც განსაკუთრებულ გამოვლინებებზე.
ეჭვის საბაზს მისი მაძიებელნი
ყოველთვის მონახავენ, ჭეშმარიტების
მაძიებელნი კი იპოვიან საკმარის
მტკიცებებს, რაც მათი რწმენის საფუძველი
გახდება.

ჩვენს შეზღუდულ გონებას არ შეუძლია
სრულად ჩასწვდეს უკიდევანო ღმერთის
ხასიათს ან საქმეებს. ყველაზე
შორსმჭვრეტელი და განათლებული

ადამიანისთვისაც კი ეს წმინდა არსება
ყოველთვის იქნება ამოუცნობი საიდუმლო.
„ჩასწვდები შენ ღვთის სიღრმეს? ჩასწვდები
ყოვლადძლიერის სრულყოფილებას? ცათა
მწვერვალებია, რა გამოგია? ქვესკნელზე
ულრმესია, რას შეიცნობ?“ (იოზ. 11:7,8).

პავლე მოციქული წამოიძახებს: „ო, ღვთის
სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების
სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელი არიან
მისი სამართალნი და მიუკვლეველი მისი
გზები!“ (რომ. 11:33), თუმცა ნათქვამია:

„ღრუბელი და ნისლია მის ირგვლივ,
სიმართლეთა დაგანსჯით არის
წარმართული მისი ტახტი“ (ფს. 96:2).

ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორზრუნავს იგი
ჩვენზე და რა ამოდრავებს და დავინახავთ
ენით აუწერელ სიყვარულსდა მადლს,
შერწყმულს მის უსასრულო ძალასთან. ჩვენ
შეგვიძლია გავიგოთ მისიზრახვანი

იმდენად, რამდენადაც ეს ჩვენი
კეთილდღეობისთვისაა საჭირო.
დანარჩენი ყველაფერი უნდა მივანდოთ
ყოვლისშემძლე ღმერთს, რომლის გული
სავსეა ჩვენდამისიყვარულით.

წმინდა წერილი მისი ღვთიური ავტორის
ხასიათის მსგავსად შეიცავს
ისეთსაიდუმლოებებს, რომლის სრულად
ამოხსნას ადამიანი ვერასოდეს შესძლებს.
სამყაროში ცოდვის გაჩენა, ქრისტეს
გარდასახვა, მკვდართა აღდგომა და ბევრი
სხვა რამბიბლიაში ისეთი ღრმა
საიდუმლოებაა, რომ ადამიანის გონება მას
ვერ ჩასწვდება და ვერ ამოხსნის. მაგრამ,
რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ზოგიერთი
საიდუმლოსამოხსნა, ამის გამო არა გვაქვს
უფლება ექვი შევიტანოთ ღვთის
სიტყვისჭეშმარიტებაში. ბუნების სამყარო

სავსეა საიდუმლოებებით, რომელთა ბოლომდეახსნა არ შეგვიძლია. უბრალო ცხოვრებისეულ საკითხებშიც კი ვხვდებით ისეთსაიდუმლოებებს, რომელთაც თვით ყველაზე დიდი ფილოსოფოსიც კი ვერ ახსნის. ყველგან ვხედავთ სასწაულებს რომლებიც ჩვენს გონებას აღემატება. მაშ, რატომუნდა იწვევდეს ჩვენში გაკვირვებას ის ფაქტი, რომ სულიერ სამყაროშიც არისსაიდუმლოებები, რომელთაც ჩვენი გონება ვერ ჩასწვდება? საქმე მხოლოდ ადამიანისგონების უძლურებაში და შეზღუდულობაშია. წმინდა წერილს აქვს საკმაო მტკიცებებითავისი ღვთიური წარმოშობის შესახებ. ჩვენ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს მასშიმხოლოდ იმიტომ, რომ მის საიდუმლოებებს ვერ ჩავწვდით.

პეტრე მოციქული ამბობს, რომ წერილში „ზოგი რამ ისე ძნელად გასაგებია, რომ უმეცარნი და უმტკიცონი, სხვა წერილების მსგავსად, ამახინჯებენ საკუთარი თავის დასაღუპად“ (2 პეტრ. 3:16).

ბიბლიაში რომ მხოლოდ ის ყოფილიყო მოციქული, რასაც ადამიანის გონება ჩასწვდება; და მოკვდავ, შეზღუდულ გონებას რომ შესძლებოდა მისი დიდებისა და ძლიერების გაგება, მაშინ მასზე არ იქნებოდა ღვთიური ავტორის ბეჭედი. სწორედმისმა დიდებულებამ და მასში ჩაქსოვილმა საიდუმლოებებმა უნდა მოგვცეს იმის რწმენა, რომ იგი ჭეშმარიტად ღვთის სიტყვაა.

ბიბლია თავისი ჭეშმარიტების შესახებ უბრალო ენით გვესაუბრება. იგი

კარგადპასუხობს ადამიანის ყოველ
საჭიროებას, მის გულისთქმას და ეს
უბრალოებაგაკვირვებას და აღტაცებას
იწვევს უაღრესად განათლებულ
ადამიანებშიც კი. ამწიგნში პოულობენ
ხსნის გზას ყველაზე მორჩილნიც და
გაუნათლებელნიც. ესუბრალო ბიბლიური
სიტყვები მოგვითხრობენ ისეთ
ამაღლებულ, ღრმა და
უსასრულოჭეშმარიტებებზე, რომელიც
ადამიანის გონებას აღემატება და რომელსაც
ჩვენმხოლოდ იმიტომ ვღებულობთ, რომ
თვით უფლის მიერ არის
გაცხადებული. ადამიანის გადარჩენის
ღვთიური გეგმა იმდენად ნათელია, რომ
გასაგები ხდება: ღვთის წინაშე მონანიება და
ქრისტეს რწმენა — ეს არის ერთადერთი
გზაგადარჩენისა. მართალია, ეს
ჭეშმარიტებანი ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ

მათ მიღმაიმალება ღვთიური დიდების
საიდუმლო, რომელსაც ადამიანის გონება
ვერ ჩასწვდება. და ამავე დროს მოწიწების
გრძნობას უღვიძებს და რწმენას მატებს
ჭეშმარიტების და უღალავ მაძიებელს. რაც
უფრო მეტად იკვლევს ადამიანი წერილს,
მით უფრო რწმუნდება, რომ ის არის
ცოცხალი ღმერთის სიტყვა და მისი გონება
ქედს იხრის ღვთიური გამოცხადების
დიდების წინაშე.

როდესაც ვამბობთ, რომ ვერასოდეს
შევძლებთ უდიდეს ჭეშმარიტებაში
სრულად ჩაწვდომას, ამით ვაღიარებთ, რომ
ჩვენს ხრწნად გონებას არ შეუძლია
მარადიულის შეცნობა, რომ ადამიანს
თავისი შეზღუდული ცოდნით არ შეუძლია
მიხვდეს ყოვლისმცოდნე ღმერთის
ზრახვებს.

სკეპტიკოსები და ურწმუნონი უარყოფენ ღვთის სიტყვას იმიტომ, რომ არშეუძლიათ მის საიდუმლოებებში ჩახედვა. მაგრამ ამ საშიშროებისაგან არც ის არის დაცული, ვინც ამბობს, რომ ბიბლიის სჯერა. მოციქული წერს: „თვალი გეჭიროთ, ძმებო, რომ ვინმე თქვენგანს არ ჰქონდეს ბოროტი და ურწმუნო გული, რათა არგანუდგეს ცოცხალ ღმერთს“ (ებრ. 3:12). კარგია, როდესაც ადამიანი გულდასმით იკვლევს წმინდა წერილს და იკვლევს „ღვთის სიღრმეს“ იმდენად, რამდენადაც ხსნილია იგი ბიბლიაში (1 კორ. 2:10). მაგრამ, „დაფარული ეკუთვნის უფალს — ჩვენს ღმერთს“ (მეორე რჯ. 29:29).

სატანა ცდილობს შეასუსტოს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობა წმ.

წერილისგამოკვლევების მიმართ და ხშირად ბიბლიის შესწავლისას სიამაყე იჩენს თავს. ზოგიერთ ადამიანს აღიზიანებს ის ფაქტი, რომ არ შეუძლია ბიბლიაში ყველაადგილის ახსნა და ამის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. მას თავის დამცირებად მიაჩნია აღიაროს თავისი უძლურება ამ სულისჩამდგმელი სიტყვების შემეცნებაში. მას არ სურს მოთმინებით ელოდოს იმ დღეს, როდესაც ღმერთი ჩათვლის საჭიროდ და გაუხსნის ჭეშმარიტებას. ასეთ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ გააჩნიათ საკმარისი სიბრძნე იმისათვის, რომ დამოუკიდებლად ჩასწვდნენ წმინდა წერილს, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში უარყოფენ ამ წიგნის ავტორიტეტს.

მართალია, არსებობს ბევრი რელიგიური
სწავლება და თეორია, რომელიც თითქოსდა
ბიბლიურ საფუძვლებს ეყრდნობა,
სინამდვილეში კი
ეწინააღმდეგება ღვთიური წერილის
საერთო შინაარსს. ამის გამო ბევრს უჩნდება
ეჭვი და დაბნეულობა. მაგრამ ამაში უფლის
სიტყვა კი არ არის დამნაშავე, არამედ წმიდა
წიგნის — ბიბლიის ადამიანის მიერ
დამახინჯება.

უფლის მიერ შექმნილ ყოველ არსებას
სრულად რომ შეეცნო ღვთის სიტყვა
დამისი საქმეები, მაშინ, მიაღწევდა რა ამას
ერთხელ, შემდეგში აღარ იქნებოდასაჭირო
მისი შემეცნების გაფართოება და გონებისა
და გულის განვითარება. უფალი აღარ
იქნებოდა უმაღლესი არსება, ადამიანი კი,
მიიღებდა რა განსაზღვრულ ცოდნას,

შეწყვეტდა თავის განვითარებას. მაदლი
შევწიროთ უფალს, რომ ეს ასე არარის.

უფალი უსაზღვროდ დიდია, „რომელშიც
დაფარულია სიბრძნისა და ცოდნისყველა
საუნჯე“ (კოლ. 2:3) და ადამიანები
მარადისობაშიც გააგრძელებენ
მისშეცნობას, იქ, სადაც არასოდეს ექნება
დასასრული მის სიბრძნეს, სიკეთესა და
ძალას.

უფალს სურს, რომ ადამიანებმა მისი
სიტყვის ჭეშმარიტება შეიცნონ აქ, ამ
ცხოვრებაში. ასეთი ცოდნის მიღება
მხოლოდ ერთი გზით შეიძლება: წმინდა
სულის მეშვეობით, რომლითაც მოცემულია
ეს სიტყვა. „ღვთისა არავინ არაფერი იცის,
გარდა ღვთის სულისა“, „ვინაიდან სული
ჭვრეტს ყოველივეს, ღვთის სიღრმეებსაც“ (1

კორ. 2:11,10). მაცხოვარმა თავის მიმდევრებს აღუთქვა: „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლევებათ ყოველ ჭეშმარიტებაში... რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ“ (იოან. 16:13,14).

უფალს სურს, რომ ადამიანმა განავითაროს თავისი გონებრივი ნიჭი. სწორედ ბიბლიის შესწავლა და არა სხვა რამ საქმიანობა, განამტკიცებს და აღამაღლებს მის გონებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა გავაღმერთოთ ჩვენი სუსტი და არასრული გონება; ღმერთის სიტყვის სწორი გაგებისათვის, მისი სულ უბრალო ჭეშმარიტების შეცნობისათვისაც კი უნდა გვქონდეს პატარა ბავშვის უბრალოება და რწმენა, მზადყოფნა სწავლისათვის და იმისათვის, რომ ვთხოვოთ დახმარებასულიწმიდას. შეცნობა იმისა, თუ

რაოდენ ძლიერი და ბრძენია უფალი, თუ რა უსუსურია ჩვენი ძალა მისი დიდების შემეცნებისათვის — აღძრავს ჩვენში მისდამი მორჩილებას. მისი სიტყვის შესწავლა წმინდა მოკრძალებით და იმის შეგრძნებით უნდა დავიწყოთ, რომ იგი ჩვენს გვერდით იმყოფება. ბიბლიის კითხვის დაწყებისას უნდა ვაღიაროთ მისი ავტორიტეტის უზენაესობა და ჩვენი სული და ინტელექტი უნდა დავუქვემდებაროთ მას, ვინც წარმოსთქვა: „მე ვარ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიბლიაში არის ადგილები, რომლებიც ძნელად გასაგებად გვეჩვენება. ასეთ ადგილებს თვით ღმერთი აუხსნის მათ, ვინც ეძებს სიბრძნეს ამისათვის. სულიწმიდის ხელმძღვანელობის გარეშე ჩვენ შეგვექმნება წმინდა წერილის დამახინჯებისა და მისი

შინაარსის არასწორი გაგების საშიშროება.
ზოგი ადამიანი სრულიად უშედეგოდ
კითხულობს ბიბლიას, ხანდახან თავის
საზიანოდაც კი, რადგან მის შესწავლას
ლოცვებისა და კურთხევის გარეშე იწყებს.
როდესაც ფიქრები და გრძნობები
უფლისაკენ არა გვაქვს მიმართული და
უფლის ნებასთან შეთანხმებული, ძალიან
ძნელია ეჭვებისაგან თავის დაღწევა. ასეთ
მდგომარეობაში ბიბლიის კითხვა უფრო
გააღრმავებს ჩვენში სკეპტიკურ
განწყობილებას. ადამიანის აზრი ამ დროს
ბოროტი სულის ხელშია, რომელიც
არასწორად წარმოუდგენს მას წმიდა
წერილის შინაარსს. როდესაც ადამიანები
არ ისწრაფვიან უფალთან ერთიანობისაკენ,
რანაირი განათლებულნიც არ უნდა იყვნენ
ისინი, მაინც არსებობს საშიშროება წმიდა
წერილის არასწორად გაგებისა; ადამიანი,

რომელსაც არა აქვს სულიერი მხედველობა,
ყოველთვის ეძებს წერილში
საწინააღმდეგოს და თავისი
დამახინჯებული შეხედულებების გამო
ბევრ მიზეზს მონახავს ეჭვებისა და
ურწმუნოებისათვის იმაში, რაც
სინამდვილეში ასე ადვილად გასაგები და
ნათელია.

ასეთ შემთხვევაში მეტწილად ეჭვებისა
და სკეპტიციზმის ნამდვილი მიზეზი,
როგორც არ უნდა დამალოს ადამიანმა —
არის მისი სიყვარული ცოდვისადმი. ამაყ
და ცოდვისმოყვარულ გულს არ შეუძლია
მიიღოს ღვთის სიტყვის დარიგებები და
აკრძალვები და სწორედ მათ, ვისაც არ სურს
დაემორჩილოს წერილის მოთხოვნას,
ეპარებათ ეჭვი მის ავტორიტეტში.

ჭეშმარიტება რომ ვიპოვოთ, საჭიროა გულწრფელად გვსურდეს მისი შეცნობა და უფლისადმი მორჩილება. ყოველი ადამიანი, რომელიც ასეთი სულით დაიწყებს მის შესწავლას, იპოვის მრავალ მტკიცებას იმისას, რომ ეს არის ჭეშმარიტი სიტყვა. ისინი ჩასწვდებიან მის ჭეშმარიტებას, რომელიც გზას გაუხსნის გადარჩენისაკენ.

ქრისტემ სთქვა: „ვისაც სურს აღასრულოს მისი ნება, იგი შეიტყობს ამ მოძღვრებას, ღვთისგანაა იგი თუ ჩემით ვლავარაკობ“ (იოან. 7:17). იმის ნაცვლად, რომ ბიბლიის ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დავაყენოთ და კრიტიკულად მივუდგეთ იმას, რაც ჩვენთვის გაუგებარია, მივაპყროთ მთელი ყურადღება უკვე ჩვენში არსებულ ნათელს და მივიღებთ უფრო დიდ სინათლეს.

ქრისტეს მადლის ძალით თქვენ
აღასრულებთ ყველაფერს, რაც უკვე
გაგიხსნათ უფალმა და მოგეცემათ ნიჭი და
შესაძლებლობა გაიგოთ და შეასრულოთ ის,
რაშიც ჯერჯერობით ეჭვი გეპარებათ.

არსებობს ერთი მტკიცება, რომელიც
შეუძლია ჰქონდეს როგორც განათლებულ,
ასევე სრულიად უბრალო ადამიანს — ეს
არის პირადი გამოცდილების მოწმობა.
უფალი გვთავაზობს ჩვენ თვითონ
შევამოწმოთ მისი სიტყვის ჭეშმარიტება და
მისი აღთქმის სისწორე. „განიცადეთ და
ნახეთ, რომ კარგია უფალი“ (ფს. 33:9). ნუ
დავეყრდნობით სხვის სიტყვებს, თვითონვე
გამოვცადოთ და დავრწმუნდეთ. იგი
გვპირდება: „ითხოვეთ და მოგეცემათ“
(იოან. 16:24). მაცხოვარი ყოველთვის
ერთგული იყო თავისი სიტყვის და თავის

დაპირებას შეასრულებს. მასზე მინდობილ არცერთ ადამიანს არ გასცრუებია იმედი. როდესაც შევიცნობთ იესოს და სრულად შევიგრძნობთ მისი სიყვარულის სრულყოფილებას, ჩვენი ეჭვები და სულიერი სიბნელე განქარდება მისი ჭეშმარიტების ნათელში.

პავლე მოციქული წერს, რომ უფალმა „გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან“ და „შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში“ (კოლ. 1:13). და სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა ყოველი, „ვინც მიიღო მისი მოწმობა, დაბეჭდა, რომ ღმერთი ჭეშმარიტია“ (იოან. 3:33). ასეთ ადამიანს შეუძლია სთქვას: „მე მჭირდებოდა დახმარება და ვპოვე იგი იესოში. უფალმა მიპასუხა ჩემს ყველა გაჭირვებაზე და მომიკლა სულიერი

შიმშილი. და ახლა ჩემთვის ბიბლია არის
იესო ქრისტეს გამოცხადება. თქვენ
მეკითხებით, რატომ მაქვს იესოს რწმენა?
იმიტომ, რომ ის ჩემი მხსნელია. რატომ
მჯერა ბიბლიისა? მე მივხვდი, რომ იგი
ღვთის სიტყვაა, ჩემი სულისაკენ
მომართული. ჩვენს საკუთარ თავში
შეგვიძლია მოვნახოთ იმის მტკიცება, რომ
ბიბლია — ღვთიური ჭეშმარიტებაა, ქრისტე
კი — ღმერთის ძე“.

პეტრე მოციქული მოუწოდებს თავის
ძმებს: „აღიზარდეთ ჩვენი უფლისა და
მაცხოვრის იესო ქრისტეს მაძლით და
შემეცნებით“ (2 პეტრ. 3:18). ღვთის
შვილები, რომლებიც იზრდებიან მაძლში,
უფრო ნათლად ერკვევიან მის სიტყვაში და
ხედავენ ახალ ნათელს და ახალ სილამაზეს
უფლის წმინდა ჭეშმარიტებაში. ასე იყო

ყოველთვის ეკლესიის ისტორიაში და ასე იქნება ბოლო ჟამამდე. „მართალი გზა დილის ნათელივითაა: უფრო და უფრო ნათდება დღის დადგომამდე“ (იგავ. 4:18).

რწმენით შეგვიძლია განვჭვრიტოთ მომავალი და შევიცნოთ უფლის აღთქმის იმის შესახებ, რომ სულიერი ძალა, რომელიც ცოცხალ ურთიერთკავშირშია სინათლის წყაროსთან, თანდათან სულ უფრო და უფრო გაძლიერდება და მაშინ გავიხარებთ, როცა უფლის სიტყვა და მასში ყოველი ძნელად ასახსნელი ადგილი ადვილად გასაგები გახდება ჩვენთვის. და იქ, სადაც ჩვენი შეზღუდული გონება დაბრკოლებას და აუხდენელ ოცნებას ხედავდა, სრულ ჰარმონიას დავინახავთ. „ვინაიდან, ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ. ახლა ვიცი

მცირეოდენი, ხოლო მაშინ შევიცნობ ისე,
როგორც მე ვარ შეცნობილი“ (1 კორ. 13:12).

თავი 13 სიხარული უფალში

უფალი მოუწოდებს ღვთის შვილებს,
იყვნენ ქრისტეს წარმომადგენელი
დათავიანთი ცხოვრებით დაარწმუნონ
ადამიანები უფლის სიკეთესა და
წყალობაში. როგორც იესომ გაგვიმჟღავნა
მამის ხასიათი, ასევე ჩვენც უნდა
დავანახოთ ქრისტესხასიათი მათ,
რომელთაც არაფერი იციან მისი
სიყვარულისა და თანაგრძნობის შესახებ.
„როგორც შენ მომავლინე წუთისოფელში,
მეც ასევე მივავლინე ისინი წუთისოფელში“
— თქვა იესომ — „მე მათში ვარ და შენ

ჩემში... რათა იცოდესწუთისოფელმა, რომ
შენ მომავლინე“ (იოან. 17:18,23). პავლე
მოციქული წერდაქრისტეს მოწაფეებს:
„თქვენ აჩვენებთ, რომ ხართ ქრისტეს
წერილები,“ „რომელსაც ცნობს და
კითხულობს ყოველი ადამიანი“ (2 კორ.
3:2,3). ყოველი თავისი შვილისსახით
ქრისტე წერილს უგზავნის კაცობრიობას:
ყოველ ოჯახს, ყოველ თქვენსნაცნობს,
მეზობელს და მეგობარს. ისინი, შესაძლოა,
არ კითხულობენ ბიბლიას დაარც ესმით
უფლის წმიდა წერილის შინაარსი და ვერ
ხედავენ მასში უფლის ნებასდა სიყვარულს
— მის საქმეებში. თქვენში მყოფ ქრისტეს კი
სურს ჩასწვდეს მათფიქრებსა და გრძნობებს,
ვისთვისაც ჯერ კიდევ უცნობია იგი. მაგრამ
თუკი თქვენქრისტეს ერთგული
წარმომადგენელი ხართ, მაშინ, შესაძლოა,
თქვენი მეცადინეობითჩასწვდებიან ისინი

უფლის დიდ წყალობას და მათში
აღიძვრება უფლისადმისიყვარულისა და
მსახურების სურვილი.

ქრისტიანები სინათლის მატარებლები
არიან ზეცისაკენ მიმავალ გზაზე. მათუნდა
გაანათონ ქვეყნიერება იმ სინათლით,
რომელსაც ისინი ქრისტესგან
ღებულობენ.მათმა ცხოვრებამ და ხასიათმა
უნდა შეუქმნას ხალხს სწორი წარმოდგენა
ქრისტესადა მის მსახურებაზე.

ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები
ღვთისმსახურებას სილამაზეს და
მიმზიდველობასმატებენ. ქრისტიანები,
რომელნიც გულში უიმედობას და ნაღველს
ატარებენ,მუდამ წუწუნებენ და ჩივიან,
არასწორ წარმოდგენას უქმნიან ადამიანებს
ღმერთზედა, საერთოდ, ქრისტიანულ

ცხოვრებაზე. ისინი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ღმერთს არ სურს, რომ მისი შვილები ბედნიერები იყვნენ და ამით ცრუმოწმენი გამოდიან ჩვენი ზეციერი მამისა.

სატანა ზეიმობს, როდესაც იგი აღწევს თავის მიზანს და თესავს ღვთის შვილებში ურწმუნობას და სასოწარკვეთილებას. იგი აღტაცებულია, როდესაც ხედავს, რომ არა გვაქვს ღმერთისადმი ნდობა და ეჭვი გვეპარება მის მზადყოფნასა და ძალაში ჩვენი გადარჩენისათვის. ის ზეიმობს, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფლისწინასწარმეტყველებას ჩვენთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს: სატანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უფალი ხალხს აჩვენოს, როგორც უმოწყალო და სასტიკი

მბრძანებელი.ის ამახინჯებს ჭეშმარიტებას და ცრუ წარმოდგენას უნერგავს ადამიანებს ღმერთზე.ჩვენ კი ღვთიურ ჭეშმარიტებებზე მსჯელობის ნაცვლად ძალიან ხშირად ყურადღებასვამახვილებთ სატანის ამ მოქმედებებზე და უფალს შეურაცხვეფოფთ ჩვენიუნდობლობით და წუწუნით. სატანა ყოველთვის ცდილობს სიცრუე შეიტანოსადამიანის რელიგიურ ცხოვრებაში. მას სურს, რომ ხალხს იგი დამღლეღი და ძნელიეჩვენოს. და როდესაც ქრისტიანი თავისი ცხოვრებით მხარს უჭერს რელიგიაზე ასეთ წარმოდგენას, იგი ამით მტერს ეხმარება.

ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ძალიან ხშირად ფიქრობს თავის შეცდომებზე, ნაკლზე, იმედების გაცრუებაზე; მათი გული სავსეა დარდითა

და სევდით. ჩემი ევროპაში ყოფნის დროს ერთმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა დამ წერილი მომწერა, რომელშიც მთხოვდა დამემშვიდებინა და იმედი მიმეცა მისთვის. იმავე ღამეს, წერილის მიღების შემდეგ დამესიზმრა, რომ ბაღში ვიყავი და ადამიანი, რომელიც, ჩემის აზრით, ბაღის პატრონი უნდა ყოფილიყო, მისი ბილიკებით დამატარებდა. მე ვკრეფდი ყვავილებს და მათი სურნელებით ვტკბებოდი. და ამ დროს ჩემს გვერდით მდგარმა დამ მიმითითა ეკლებზე, რომლებიც ხელს უშლიდა სიარულში. იგი კვნესოდა და წუხდა. იგი გასავლელ ბილიკზე კი არ დადიოდა ჩვენი გამცილებლის კვალდაკვალ, არამედ ბუჩქებში და ეკლებში. „რა სამწუხაროა, რომ ამისთანა მშვენიერ ბაღს ეკლიანი ბუჩქები აფუჭებენ“ — წუხდა იგი. მაშინ

გამცილებელმა უთხრა: „დაანებეთ თავი ამ ეკლესს, აქ ფეხები დაგეჭრებათ. დაკრიფეთ ვარდები, შრომანები და ტიტები“.

ნუთუ თქვენს ცხოვრებაში არ ყოფილა ნათელი, სასიხარულო წამები, როდესაც თქვენი გული სიხარულით ცემდა სულიწმიდის მოქმედებით? გადახედეთ თქვენს ცხოვრებას და გაიხსენეთ წარსული; ნუთუ ვერაფერს სასიამოვნოს ვერ გაიხსენებთ? განა უფლის აღთქმები, სურნელოვანი ყვავილების მსგავსად, არ გვხვდება ჩვენს გზებზე? ნუთუ თქვენ არ გინდათ, რომ თქვენი გულები აივსოს მათი სურნელებით?

ეკლესიები დაგჩხვლეთენ და მხოლოდ ქრილობას და ტკივილს მოგაყენებენ. თუკი მათ კრეფთ და სხვასაც სთავაზობთ, ამით

არა მარტო თქვენ ამბობთ უარს ღვთის წყალობაზე, არამედ სხვასაც ხელს უშლით სიცოცხლის ბილიკებზე სიარულში.

უგუნურებაა განუწყვეტლივ იხსენებდე უსიამოვნო წარსულს, ცოდვებს, იმედის გაცრუებას; უგუნურებაა მასზე მუდამ გლოვა და სევდა. სევდიანი ადამიანი ბნელშია, წინააღმდეგობას უქმნის ღვთის ნათელს, არ უშვებს მას თავის სულში და ჩრდილს ფენს სხვების გზებსაც.

მადლობა შევწიროთ უფალს მის მიერ ბოძებული ნათელი წუთებისათვის. შევკრიბოთ ერთად ჩვენს სულში მისი დიდი სიყვარულის ყოველი მტკიცება და დავტოვოთ ჩვენი ყურადღების ცენტრში. ვიფიქროთ უფლის ძეზე, რომელმაც დატოვა მამის ტახტი და გამოჩნდა

ადამიანის ხორცში, რათა ადამიანის მოდგმა
გამოგლიჯოს სატანის ბრჭყალებს.
ვიფიქროთ მის გამარჯვებაზე. ჩვენი
გულისათვის, რამაც ზეცის კარები
გავიხსნა, რათა ადამიანებს მისცემოდათ
შესაძლებლობა თავისი თვალით ენახათ
უფლის სასუფევლის დიდება. გავიხსენოთ
დაცემული, ცოდვის უფსკრულში
გადაჩეხილი, მაგრამ გადარჩენილი და
კვლავ ღმერთისაკენ მოქცეული
კაცობრიობა. არ დაგვავიწყდეს, რომ ვინც
მაცხოვრის რწმენით გაუძლებს გამოცდას,
ჩაიცმევს ქრისტეს სიმართლის სამოსელს
და ზეატაცებული იქნება მის
საბრძანებელში. აი, ეს ჭეშმარიტებები,
რომელზედაც უნდა ვიმსჯელოთ უფლის
ნებით. როდესაც ეჭვი გვეპარება ღვთის
სიყვარულში და არა გვჯერა მისი
დაპირებებისა, ვაუწმიდურებთ მას და

ვანაწყენებთ სულიწმიდას. რა
მდგომარეობაში ჩავარდება დედა, რომლის
შვილებიც სულ მუდამ ჩივიან, რომ დედას
მათთვის სიკეთე არ უნდა, იმ დროს, როცა
დედა ყველა ღონეს ხმარობს მათი
ინტერესების დაცვისათვის და მათი
ბედნიერებისათვის ცოცხლობს? დედის
სიყვარულში ეჭვისშეტანით ხომ გულს
მოუკლავენ მას? რას იგრძნობს თითოეული
ადამიანი, შვილი რომ ასე მოექცეს? რა უნდა
იფიქროს ჩვენმა ზეციერმა მამამ, როდესაც
არ ვენდობით მის სიყვარულს? —
სიყვარულს, რომელმაც აღძრა უფალი და
სიკვდილისათვის გაიმეტა თავისი
ერთადერთი ძე, რათა ჩვენ მუდმივად
გვეცოცხლა. „ის, ვინც საკუთარი ძე არ
დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, განა
მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?“
(რომ. 8:32) — წერს პავლე მოციქული. და

მაინც ძალიან ბევრი, შეიძლება სიტყვით არა, მაგრამ საქმით, ამბობს: „უფაღს ეს ჩემთვის არ მოუცია. შეიძლება, სხვები უყვარს მას, მაგრამ არა მე“.

ეს ვნებს ჩვენსავე სულს, იმიტომ, რომ ყოველი ეჭვიანი სიტყვა სატანის ცდუნებაა და გვიბიძგებს ურწმუნოებისაკენ, ანაწყენებს ანგელოზებს და ისინი იძულებულნი ხდებიან, დაგვტოვონ. როდესაც სატანა გაცდუნებთ, ნუ წარმოსთქვამთ ეჭვებით და უიმედობით სავსე სიტყვებს. თუ თქვენ მოუსმენთ სატანის კარნახს, გონება უნდობლობითა და აღშფოთებით აგევსებათ. ამ სიტყვების წარმოთქმით არა მარტო საკუთარ თავს ავნებთ, არამედ თესავთ თქვენს გარშემომყოფ ადამიანებში თესლს, რომელიც აღმოცენდება, მაგრამ უნაყოფო

იქნება. თქვენი სიტყვები შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს მათთვის. თქვენ შეიძლება გაუძლოთ ცდუნებას და როგორმე გამოძვრეთ სატანის ქსელიდან, მაგრამ სხვები, რომლებიც მერყეობენ თქვენი სიტყვების გავლენით, შეიძლება ვერ ამოვიდნენ თქვენით დათესილი ეჭვებიდან. ამიტომაც ასე მნიშვნელოვანი საუბარი იმის შესახებ, რაც სულიერ ძალასა და სიცოცხლეს გვმატებს!

ანგელოზები ყურადღებით უსმენენ იმ მოწმობას ზეციური მოძღვრის შესახებ, რომელსაც თქვენ აუწყებთ კოცობრიობას. უფრო ვრცლად ვისაუბროთ იმაზე, ვინც „მარად ცოცხალია, რათა გვიშუამდგომლოს“ მამის წინაშე. მეგობრებთან საუბრისას აავსეთ თქვენი გული და ბაგენი უფლის ქება-დიდებათ.

ამით მათ ყურადღებას იესოსკენ
მიაპყრობთ.

ყოველ ადამიანს ექნება ცხოვრებაში
გამოცდა, ძნელად გადასატანი სევდა,
მწუხარება და განსაცდელი. ნუ აჩვენებთ
თქვენს მწუხარებას ადამიანებს, არამედ
მოუყევით იგი უფალს ლოცვებში;
დაიმახსოვრეთ, როგორც წესი: არასოდეს არ
წარმოსთქვათ ეჭვისა და უიმედობის
სიტყვები. თქვენს იმედისა და
მადლიერების სიტყვებს ბევრი რამის
გაკეთება შეუძლია — გაანათოს ადამიანთა
ცხოვრება და განამტკიცოს მათი ძალები.

მრავალი უძლური სული დამძიმებულია
ცდუნებით. ისინი თითქმის მზად არიან
დაყარონ ფარხმალი თავის საკუთარ „მე“-
სთან და ბოროტ ძალებთან ბრძოლაში. ნუ

დაუკარგავთ რწმენას ასეთებს მათ მძიმე ბრძოლაში. უთხარით იმედის მომცემი სიტყვები. და მაშინ ქრისტეს ნათელი თქვენს ცხოვრებაშიც გამობრწყინდება. „არც ერთი ჩვენგანი არ ცოცხლობს საკუთარი თავისათვის“ (რომ. 14:7). ჩვენს ზეგავლენას, (რომლის არსებობა, შეიძლება, არც ვიცოდეთ) შეუძლია გაამხნევოს და განამტკიცოს სხვები, ანდა, პირიქით, იმედი დაუკარგოთ და ქრისტეს და ჭეშმარიტებას დავაშორდეთ. ბევრ ადამიანს არასწორი წარმოდგენა აქვს ქრისტეს ცხოვრებასა და მის ხასიათზე. მათ ჰგონიათ, რომ ქრისტე გულთბილი და სიცოცხლის მოყვარული კი არა, სასტიკი, მკაცრი და მუდამ მოწყენილი იყო. და ამიტომაც ხშირად ზოგიერთის ქრისტიანული ცხოვრება მუქი ჩრდილებით არის მოფენილი.

ამბობენ, რომ ქრისტე ტიროდა და არავინ
იცის, იცინოდა თუ არა იგი როდესმე. ჩვენი
მაცხოვარი „გატანჯული და
სნებამორეული“, გახსნილი იყო
ადამიანური მწუხარებისათვის. და თუმცა
მისი სიცოცხლე იყო სხვებისათვის
თავდადება და მწუხარებითა და ზრუნვით
დამძიმებული, იგი მაინც
სულმოუდრეკილი იყო. მის სახეს არ
ჰქონდა მწუხარე და უკმაყოფილო
გამომეტყველება. პირიქით: მასში
ყოველთვის იყო შინაგანი სიმშვიდე. იესოს
გული სიცოცხლის წყარო იყო. მას ყველგან
მიჰქონდა სიმშვიდე და მშვიდობა,
სიხარული და ბედნიერება. მაცხოვარი
ყოველთვის სერიოზული და
მიზანდასახული იყო. მაგრამ არასოდეს
ყოფილა დაღვრემილი და პირქუში. მის
მიმდევართა ცხოვრებაც ასეთი იქნება:

მიზანდასახული და პირადი
პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე.
არასერიოზულობა გაქრება, შფოთსა და
უხემ ხუმრობას ადგილი აღარ ექნება. იესო
ქრისტეს რელიგიას მოაქვს სიმშვიდე,
რომელიც ემსგავსება მშვიდ, სავსე
მდინარეს. იგი არ აქრობს სიხარულის
ნათელს, არც მხიარულ განწყობას და არ
ჩრდილავს ბედნიერ, მომღიმარე სახეებს.
ქრისტე იმისათვის კი არ მოვიდა, რომ მას
ემსახურონ, არამედ სხვისი
სამსახურისათვის. და თუკი ჩვენს გულებში
ჭეშმარიტი სიყვარულია, მაშინ ის
ყოველთვის მაგალითი იქნება ჩვენთვის.

თუკი ჩვენ მუდამ ვიფიქრებთ სხვების
უსამართლო და არაკეთილსინდისიერ
საქმეებზე, ვერ შევძლებთ მათ შეყვარებას
ისე, როგორც ქრისტეს ვუყვარვართ. მაგრამ

როდესაც ყურადღებას შევაჩერებთ მის საოცარ სიყვარულზე და ჩვენს მიმართ თანაგრძნობაზე, მაშინ შეგვიძლია იგივე გრძნობა გამოვავლინოთ ჩვენს ახლობლებთან დამოკიდებულებაში. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი და ურთიერთს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, მიუხედავად შეცდომებისა და ნაკლოვანებებისა, რომელნიც არ შეგვიძლია, არ შევნიშნოთ. აუცილებელია განვაავითაროთ ჩვენში თავმდაბლობა და მორჩილება, მოთმინება და დიდსულოვნება სხვისი შეცდომების მიმართ. ეს მოსპობს ჩვენში უფლისთვის მიუღებელ თავმოყვარეობას, ჩასახავს ჩვენს გულებში სახიერებას და კეთილ სურვილებს.

მეფსალმუნე წერს: „მიენდე უფალს და ჰქმენი სიკეთე, დაემკვიდრე ქვეყანაზე და

მწყემსე სიმართლე“ (ფს. 36:3). „მიენდე
უფალს!“ ყოველ ახალ დღეს ახალი
სიძნელეები, ზრუნვა და ტვირთი მოაქვს.
შეხვედრისას ჩვენ ერთმანეთს ვუყვებით
ჩვენს გაჭირვებასა და განცდებზე.
რამდენად ზედმეტად ვიტვირთავთ თავს
უსარგებლო შიშით, მწუხარებით და
შფოთვით მთელი ჩვენი ცხოვრების
მანძილზე! ისინი ისე გვამძიმებენ, რომ
საერთოდ მხედველობიდან ვკარგავთ ჩვენს
მხსნელს, მოწყალე მაცხოვარს. ჩვენს
გარშემო მყოფ ადამიანებს კი
ვაფიქრებინებთ, რომ არა გვყავს
მოსიყვარულე და ჩვენდამი თანაგრძნობით
აღსავსე მაცხოვარი, რომელიც მზად არის
შეისმინოს ყოველი ჩვენი თხოვნა და
დაგვეხმაროს ძნელბედობის ჟამს.

მრავალი ადამიანი მუდამ შიშში და მოუსვენრობაშია, თუმცა მათ უფლის სიყვარულის ნათელი დადასტურება აქვთ მისგან ბოძებული ძღვენით უხვად სარგებლობისას, მაგრამ ვერ ამჩნევენ მის მაძლს. მათი ყურადღება ყოველთვის გამახვილებულია სხვადასხვა უსიამოვნებებზე, რომლებიც ექნებათ მომავალში, ან რომალილაც უმნიშვნელო გაჭირვების ფაქტზე, რომელიც იმდენად აბრმავებს მათ, რომ ველარ ხედავნი იმ მრავალს, რისთვისაც უფლის მაძლიერნი უნდა იყვნენ. სიძნელეებს, რომელნიც ხვდებათ ცხოვრებაში, ისინი ღმერთთან — დახმარების ერთადერთ წყაროსთან კი არ მიჰყავთ, არამედ, პირიქით, იწვევენ მათში მოუსვენრობასა და წუწუნს, რომელიც უფრო აშორებს ღმერთთან მათ.

გვაქვს თუ არა უფლება, გამოვამჟღავნოთ ასეთი ურწმუნოება? რატომ ვართ ასეთი უმადურნი და ეჭვებით სავსე? იესო ხომ ჩვენი საუკეთესო მეგობარია დაზეცაც ხომ ასე დაინტერესებულია ჩვენს კეთილდღეობაში! ნუ მივცემთ უფლებას, რომ ასე ააღელვოს ჩვენი გული და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მოუსვენრობამდა შფოთმა, რაც ასე მოქმედებს ჩვენ გონებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის გვექნება გაუგებრობისა და გაღიზიანების მიზეზი. არ უნდა შევუშვათ გულში ისეთი განცდები, რომლებიც არა თუ არ გვეხმარებიან სიძნელეთა გადატანაში, არამედ ხელს გვიშლიან და გვამძიმებენ.

შეიძლება თქვენ ვერ მიაღწიეთ წარმატებას თქვენს ცხოვრებისეულ

საქმეებში, ან, შეიძლება, რაიმე დაკარგეთ, მომავალი კი უსახოდ და პერსპექტივების გარეშე გესახებათ? ნუ დაეცემით სულით! მიანდეთ ყოველი თქვენი საზრუნავი ღმერთს და იყავით მშვიდად და ფხიზლად! შეევედრეთ ღმერთს მოგცეთ სიბრძნე, რომლითაც წარმართავთ თქვენს საქმეებს და აიცდენთ დანაკარგს და უბედურებას. იესომ დახმარება აღგვითქვა, მაგრამ ჩვენც, ჩვენი მხრივ, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ამისათვის. და თუკი უკვე მთლიანად მიენდეთ ღმერთს, თქვენს ყოვლისშემძლე მწყალობელს და ყველაფერი გააკეთეთ, რისი გაკეთებაც შეგეძლოთ — თამამად შეხედეთ მომავალს!

ღვთის ნება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მისმა შვილებმა საზრუნავით დაიმძიმონ თავი. თუმცა უფალი არ

გვატყუებს. იგი არ გვეუბნება: „ნუ გეშინია, არავითარი საშიშროება არ გელის“. რადგან მან იცის, რომ გვექნება საფრთხეც და გამოცდაც. იგი პირდაპირ გვეუბნება ამის შესახებ. ღმერთს არ მიჰყავს თავისი ხალხი ცოდვილთა ქვეყნიდან, არამედ მიგვითითებს საიმედო თავშესაფარზე. „არ გევედრები, რომ წუთისოფლიდან წაიყვანო ისინი, არამედ, დაიცვა ბოროტისაგან“ (იოან. 17:15).

მთაზე ქადაგების დროს ქრისტემ თავის მოწაფეთ უჩვენა მაგალითი, როგორ მიენდონ უფალს. ეს დარიგება იმისათვის იყო საჭირო, რომ ღვთის შვილები ყოველთვის მხნედ ყოფილიყვნენ. მათ ჩვენთვისაც ასეთივე მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენი სწავლებისა და მხნეობისათვის. „შეხედეთ ცის ფრინველებს“ — მიმართავდა

იესო თავის მიმდევრებს. „ისინი არც
თესავენ, არც მკიან, არც ბელლებში
აგროვებენ და თქვენი ზეციერი მამა
ასაზრდოებს მათ.“ შემდეგ კი მაცხოვარი
ეკითხება მათ: „განა თქვენ მათზე ბევრად
უკეთესნი არა ხართ?“ (მათ. 6:26).

დიდებული ღმერთი ზრუნავს
ადამიანებზეც და ცხოველებზეც. იწვდის
ხელს და აკმაყოფილებს თავის შექმნილთა
საჭიროებას. ცის ფრინველებიც არ არიან
დარჩენილნი ყურადღების გარეშე. ის არ
უდებს საკვებს მათ პირდაპირ ნისკარტში,
მაგრამ იზრუნა მათი არსებობისათვის —
უნდა მოაგროვონ მარცვალი, რომელიც
უფალმა მათთვის გააბნია. უნდა
მოამზადონ საშენი მასალა თავიანთი
პატარა ბუდეების ასაგებად და უნდა
გამოკვებონ თავიანთი ბარტყები. ისინი
მხიარული ჭიკჭიკით შრომობენ იმიტომ,

რომ ჩვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ.
თქვენ კი „განა მათზე ბევრად უკეთესნი არა
ხართ? თქვენ, რომელთაც გაგაჩნიათ
აზროვნება და შეგიძლიათ გონებით
თაყვანი სცეთ ღმერთს, ჩიტებზე უფრო
ძვირფასნი არა ხართ მისთვის? განა ჩვენი
შემოქმედი და მფარველი, რომელმაც თავის
ხატად შეგვქმნა, არ მოგვცემს ყველაფერს,
რაც გვჭირდება, თუკი სრულიად
მივინდობით მას?

ქრისტემ მოწაფეთა ყურადღება
გადაიტანა ყვავილებით უხვად მოფენილ
მდელოზე და მიუთითა მათ სილამაზეზე,
რომელიც ზეციერმა მამამ უხვად მისცა მათ
ადამიანისადმი თავისი დიდი სიყვარულის
ნიშნად. მან სთქვა: „შეხედეთ ველის
შროშანებს, როგორ იზრდებიან“. ცოცხალი
ყვავილების უბრალო მშვენიერება უფრო

მეტია, ვიდრე სოლომონის დიდებული
ტანსაცმელი. ვერცერთი ყველაზე
ბრწყინვალე ჩასაცმელი, ადამიანის ხელის
შექმნილი, ვერ შეედრება უფლის მიერ
შექმნილ ყვავილთა ბუნებრივ ხასხასა
სილამაზეს. იესო გვეკითხება: „თუკი
მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის,
ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ასე
მოსავს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ,
მცირედ მორწმუნენო?“ (მათ. 6:30). რა ნაზი
და მრავალფეროვანი ფერებით ამკობს ჩვენი
ზეციერი მამა — ზეციერი ხელოვანი —
ყვავილებს, რომლებიც იმავე დღეს
ჭკნებიან! და რამდენად უფრო მეტად
ზრუნავს იგი ადამიანებზე, რომელნიც
საკუთარ ხატად შექმნა! ქრისტეს სიტყვები
საყვედურია მოუსვენარი, დაბნეული,
ეჭვიანი და მცირედ მორწმუნე გულების
მიმართ.

უფაღს სურს, რომ მისი შვილები მისი
მორჩილნი და სათნონი იყვნენ.

„მშვიდობასგიტოვებთ თქვენ, ჩემს
მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი
რომ იძლევა, ისეთს კი არ გაძლევთ. ნუ
შეკრთება თქვენი გული და ნურც
შეშინდება“. „ესყველაფერი იმიტომ
გითხარით, რომ ჩემი სიხარული იყოს
თქვენში და სრულყოფილი იყოს თქვენი
სიხარული“ (იოან. 14:27; 15:11).

ბედნიერება, რომლისკენაც ანგარების
მიზნით ისწრაფვიან, ვერ იქნება
დღეგრძელი და მტკიცე. ის სწრაფად ქრება.
ადამიანი კი, რომელიც მისკენ ისწრაფვის,
მარტოდმარტო რჩება თავის სევდასთან.
ღვთისმსახურებას კი სიხარული და
კმაყოფილება მოაქვს. ქრისტიანი არასოდეს

იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში.
მისთვის უცხოა ზედმეტი დარდი და
იმედის გაცრუება. და თუმცა ჩვენ შეიძლება
ვერ დავტკბეთ ამქვეყნიური ცხოვრებით,
მაგრამ გვაქვს უდიდესი სიხარული
მომავალი ცხოვრების მოლოდინში.

ჯერ კიდევ აქ, ამ დედამიწაზე ქრისტიანს
აქვს ქრისტესთან ურთიერთობით
გამოწვეული დიდი სიხარული. მათ აქვთ
მისი სიყვარულის ნათელი, მათშია იმედის
მომცემი ქრისტე. ჩვენ შეგვიძლია დღითი
დღე უფრო და უფრო მივუახლოვდეთ
იესოს, უფრო ღრმად შევიცნოთ მისი
სიყვარული და ამით უფრო ახლოს
მივიდეთ დიდების სასუფეველთან. ამიტომ
ნუ მივატოვებთ ჩვენს სასოებას, არამედ
ვიქონიოთ მტკიცე რწმენა ისე, როგორც
არასდროს. „აქამდე შეგვეწია უფალი“ და

ბოლომდე შეგვეწევა (1 მეფ. 7:12).

გავიხსენოთ წარსული, ის საუკუნეები, როდესაც მისი რჩეული ხალხი ყოველთვის იმარჯვებდა მოწინააღმდეგეზე მხოლოდ და მხოლოდ უფლის შემწეობით. ნუ დავივიწყებთ მის ზრუნვასა და წყალობას ჩვენდამი: ცრემლებს, რომელიც მან შეგვიშრო, ტკივილებს, რომელნიც მან გაგვიყუჩა, მოუსვენრობასა და შიშს, რომელიც მან გაგვიფანტა, გაჭირვებას, რომელიც მან გაგვიადვილა, კურთხევას, რომელიც მან უხვად მოგვცა. ამგვარად, გავმხნევდეთ რწმენაში მაცხოვრის ძალით და გავივლით დარჩენილ ძნელ გზას.

არ შეგვიძლია არ ვიფიქროთ იმ სიძნელეებზე, რომელიც მომავალ ბრძოლაში გველის. მაგრამ, ვიხსენებთ რა წარსულს და ვუცქერთ მომავალს,

შეგვიძლია ვთქვათ: „აქამდე შეგვეწია უფალი! შენი დღეებივით გამრავლდება სიმდიდრე შენი“ (მეორე რჯ 33:25). უფალი არ გამოგვიგზავნის ისეთ გამოცდას, რაც ჩვენს ძალას აღემატება. ამიტომ თითოეულმა ვიწრომთ იქ, სადაც ჩვენი ადგილია, იმ რწმენით, რომ, როგორც არ უნდა იყოს ჩვენი გამოცდა, მოგვეცემა საკმარისი ძალა მის გადასატანად.

მალე გაიხსნება ცის კარი ღვთის შვილებისათვის და მეუფის ბაგეთაგან მოვისმენთ კურთხეულ სიტყვებს, როგორც ყველაზე მშვენიერ, დიდებულ მუსიკას: „მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი“ (მათ. 25:34).

და გამოსყიდულებს დიდი სიხარულით მიიღებენ იმ სასუფეველში, სადაც იესომ ადგილები მოუმზადა მათ. მათი ახალი თანამემამულენი სრულიად განსხვავებულნი იქნებიან იმათგან, ვინც იყო მათ გარშემო ცოდვილ დედამიწაზე. იქ არ იქნება მანკიერება, უწმინდურება, სიცრუე, კერპთმსახურება. გადარჩენილები იქნებიან მასთან, ვინც გაიმარჯვა ეშმაკზე და ღვთიური მადლის ძალით მიაღწია ხასიათის სრულყოფილებას. ყოველი ნაკლი, არასრულყოფილება, რომელიც დღეს მათი ტანჯვის მიზეზია, განიწმინდება ქრისტეს სისხლით. მათ ექნებათ მისი ნათება, რომელიც მზის ნათებაზე მეტი იქნება. მათში იქნება სულიერი სილამაზე და ქრისტეს ხასიათის სრულყოფილება, რომელიც დაფარავს გარეგნულ დიდებულებას. სხვა უცოდველ

არსებებთან ერთად ისინი წარსდგებიან უფლის დიდების ტახტის წინაშე და გაიზიარებენ ანგელოზთა დიდებულებას და უპირატესობას.

ადამიანს უჩვეულო მემკვიდრეობა ელის. „რით გამოისყიდის ადამიანი თავის სულს?“. იგი შეიძლება ღარიბი, მაგრამ ისეთი სულიერი განძისა და ღირსების მფლობელი იყოს, რაც წუთისოფელს არ გააჩნია. ცოდვათაგან გამოსყიდული და განწმედილი სული, რომელიც თავის ძალღონეს ღვთისმსახურებას ახმარს, მეტად ძვირფასია ზეცისათვის და მთელი სამყაროს უზენაესის წინაშე უფლის ანგელოზებთან ერთად ზეიმობს მის გამოსყიდვას იმ დიდი სიხარულით, რაც გამარჯვებულთა წმინდა გალობაში გამოიხატება.

